XXIII № 2 XXIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვალი, 1912 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი: სად ჩამსვეს! 66
II ადე ბიჭო ზაქარია ლექსი შ. მდივნიშვილისა 67
III მდინარე და ღელე—შეგობრისა 68
IV ბაბუცას მეგობარი ტ:სოსი 69
V ოქროს ფიჩხი (არაკი) ვანო სასთავშვილისა 73
VI კენვურუ (თარგმანი) იოლიტა ნაკაშიძისა 77
VII ბაყაყი—ბარომეტრი (გადმოკეთებული რუსულიდან) ანიკოსი 89
VIII გასართობი 92
IX წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები და აკროსტიხი 93

X გლეხი ლექსი ლადო გეგეჭკორისა 94
XI დაფა (დასასრული) თარგმანი ეთერი რაზიკაშვილისა . 96
XII როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან (დასასრული) ი. თ-ძესი 103
XIII ქურდის შვილი (ლესკოვისა) თარგმანი ეკ. მესხისა 107
XIV ბიძიას ნაამბობი (გაგრძელება) ალ. ნათაძესი . . . 112
XV ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი. ვაჭრები. (დასასრული) ბერლინისა. თარგმანი ან. წერეთლისა. 116
XVI მტკვარი, ჭოროხი და რიონი, მგზავრის დღიურიდან ილ. ალხაზიშვილისა 120

ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ
დასურათებული ზღაპარი

ლომ-კაცი

გიორგი წერეთლისა.

და

ცხელი ქვეყნის ცხოველები

შედგენილი ალ. ჭიჭინაძის მიერ
მორთული სურათებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

თებერვალი, 1912

✦ წელიწადი მეოცდასამე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1912

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად ჩამსვეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადე ბიჭო ზაქარია.

(ზაქარია კეცხოველს).

ადე, ბიჭო, ზაქარია!
წამოფრინდი, აბა ჩქარა,
მზე კაშკაშებს, მზე იცინის,
ცამ ღრუბლები გადიყარა.
  გვრიტმა, ჩიტმა-ჩიორამ
რა სანია ფრთა გაშალა,
ტოროლამ-კი ღამეს ძილი
უფრო ადრე დაამწყარალა.
  მზის სხივები ოქროს ფერად
ხუჭუჭ თმებზე გეფინება,
მერცხალიც თავს დაგჭიკჭიკებს
შენ-კი ისევ გეძინება?!
  ადე, ბიჭო, ზაქარია,
ადე, ადე, კმარა ძილი,
ერთი კიდევ გადიკითხე
დღევანდელი გაკვეთილი.
  თორემ დედას ეწყინება,
დაგიძახებს სიყმე-მზე-ბნელს...
ზარმაცი და ძილის გუდა
შესჯავრდები მასწავლებელს.
  ადე, ბიჭო, ზაქარია,
ადე, ადე, კმარა ძილი
სკოლისაკენ გასრიალდი
მერცხალივით ფრთა გაშლილი.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარე და ღელე.

ერთ ტეიან გორაკს პატარა ღელე ჩამოუდიოდა. ის თავის ხეთქით დდე და ღამ მიექანებოდა რომ მდინარეს შეერთებოდა.

— რა პატარა ხარ, უთხრა ერთხელ მდინარემ ღელეს.

— ჩვენ, პატარა ღელეები, რომ არ ვიყოთ არც შენ იქნებოდი დიდი მდინარე, უპასუხა ღელემ.

მეგობარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბუცას მეგობარი.

ბაბუცა, ჩემო გვრიტო, მოამზადე შენი გაკვეთილები, მე აქ წამოვწვები, თვალს მოვატეუებ.

ასე ეუბნებოდა ბებია მართა თავის შვილი-შვილს. ბაბუცამ აიღო ხელში დედა-ენა და მიუჯდა მაგიდას.

მაგრამ ბაბუცას თვალში არ მოსდის სწავლა, მოწყენილია. ბებია სულ იმას ეჩიჩინება: „ეხლა დიდი ხარ, სკოლაში დაიარები და დედოფლების თამაშობა აღარ შეგეფერისო". მერე რა, რომ სკოლაში დავდივარ? მე ჩემი დედოფლები მიყვარს! აი კოტესაც უყვარს ცავისი გიშერა ძაღლი, ეთამაშება, დროს ატარებს. თინა ხომ ხელიდან არ იშორებს თავის ციცუნიას—ჩემზე-კი რამდენით უფროსია. დილაობით, სკოლაში რომ მიდის, თავის წილ რძეს ლამბაქზე უსხამს ციცუნიას. მაიასაც ხომ უყვარს თავისი კრუხ-წიწილები! განა ამ ჩემ ბებიას არ უყვარს ჩიტუნიები, თავის ტახით რომ მოფრინდებიან და ისიც რომ წამ და უწუმ ჰურის ნამცეცებს უერის?.. მხოლოდ მე, მე არავინა მყავს, რომ მიყვარდეს!.. დედოფლებსაც ნუ ეთამაშებიო!

ბაბუცა ნაღვლიანათ გაიუურება. უცებ თვალი შეასწრო, მწოლარე ბებიის ფეხებთან, ორ ჰაწაწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს, რომელნიც მას შესცქეროდენ. ეს იყო სულ პატარა ნაცრის ფერ-ქათიბიანი თაგუნია, ის თითქოს ბებუცას ნაღველს თანაგრძნობას უცხადებდა.

ბებუცამ თვალი ვეღარ მოაშორა. უცებედათ მძინარე ბებიამ ფესი გაანძრია და თაგუნაც ერთ წამს გაჩქარა.

— საბრალო თაგუნია, ფეხს ერთმა განძრევამ როგორ შეაშინა. რა ლამაზი იყო! მოდი მე იმას ამოვირჩევ მეგობრათ და ისე შევიყვარებ, როგორც თინა თავის ციცუნიას. ამისთვის საჭმელიც ხომ უფრო ადვილი საშოვარია!

ბებუცა უცებ წამოხტა ფეხზე, ცოტა შაქრის ფხვნილი იშოვა და ბებიის ფეხებთან დაყარა. სიჩუმე კვლავ ჩამოვარდა ოთახში, მხოლოდ ბებიის ოდნავი ხვრინვა მოისმოდა. ბებუცა სულ განაბული თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ახალ მეგობარს ელოდა. მართლაც საიდანღაც გამოძვრა თაგუნია, შეხედა ბაბუცას და ახტა ტახტზე. იქ, რასაკვირველია ფხვნილი შაქარი ძალე იპოვა, გამოძღა და ისევ სწრაფად გაჭრა.

იმ ღამეს ბაბუცა ცოტა არ იყოს დამშვიდდა, რადგან ახლა უმეგობროთ აღარ იყო და როცა ბებიამ გამოიღვიძა გაკვეთილები, უკვე მზათ ჰქონდა.

ბაბუცამ მონახა ის ადგილი, საიდანაც თაგუნია გამოძვრა და მეორე დღეს მისი ულუფა იქ დასტოვა. თავისი ახალი მეგობრის შოვნა საიდუმლოთ შეინახა, რადგან თაგვს ყოველთვის ბევრი მტერი ჰყავს და შინაურები გაუჯავრდებოდენ.

ყოველ დღე თაგუნია ამოძვრებოდა სოროდან, იპოვიდა გეძრიელ საჭმელს: ქონს, ნიგოზს და სხვ. ერთი მადლობით გადახედავდა ბაბუცას და ისევ გაჭრებოდა. ბოლოს ისე შეეჩვია, რომ მის ფეხებთანაც-კი დასკუპდებოდა ხოლმე. ბაბუცას აღტაცებას ბოლო არა ჰქონდა.

ერთ ღამეს ბაბუცამ მეტის მეტი დიდი ქონის ნაჭერი მოუმზადა თავის მეგობარს და ეურადღებით ელოდა სოროდან მის ამოსვლას. აგრამ დახეთ რა ნახა... თაგუნიამ ოთხი-ხუთი სხვა ამხანაგები ამოიყვანა და ის ვეებერთელა ქონის ნაჭერი ერთ წამში გადაჭულაპეს. თან და თან რიცხვი თაგვებისა მატულობდა, ბაბუცას ახლა უჭირდებოდა საზრდოს შოვნა მათთვის. შინაურები უჯავრდებოდენ: სად მიგაქვს მაგოდენა ქონი! ნიგოზს რათა სჭამ, ხომ მუწუკებს გამოგაერისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვები მეტათ გათამამდენ, მთელი ღამე დათარეშობ-დენ, მართალია საჭმელს აგრე რიგათ არ ეკარებოდენ, მაგრამ რასაკრუსი და სირბილი შეუწყვეტელი იყო. მოსამსახურეები დილაობით დაგვის დროს, რომ თაგვის აუარებელ ცურცლებს იპოვიდენ —უკვირდათ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეს თაგვები რაზე მელანდებიან, იტყოდა ბებია.

ერთ დილით, ბაბუცა სასწავლებელში აპირებდა წასვლას, რომ ბებიის სიტყვები შემოესმა:

— წუხელის საზარელი სიზმარი ვნახე. თაგვები დამსეოდენ და ვერას გზით ვერ მოძეგერებინა. უნდა ერთი მახე დავუგოთ, ოორემ ლამის გადაგვჭამონ.

მართლაც იმ ღამესვე ბაბუცამ ძილის წინეთ დაინახა რა ამბით შემოიტანეს ახალი ნაყიდი დიდი მახე და დაუგეს სწორეთ იმ ალაგას, საცა ემაწვილი თაგვებს საჭმელს უმზადებდა ხოლმე. ბაბუცას ეშინოდა მისი მეგობარი არ დაეჭირათ და ყოველ ღამეს მიეპარებოდა და მახეს მოშლიდა. სახლში თაგვებს ყველანი აუეაგეაგდენ, მთელი დღე გაისმოდა მუქარა და წყრომა. მახე რომ არ იჭერდა, გამოცვალეს, ისე მუყაითად თვალს ადევნებდენ, რომ ბაბუცა ვეღარ ასწრებდა მახეს მოშლას და ვეღარც საჭმელს შოულობდა, ისე გამრავლდენ თაგუნიები. ყოველ ცისმარე დღეს მახე იჭერდა ორ-სამ თაგვს ზედიზედ.

ბოლოს როცა ყველა თაგვები გაწყვიტეს და ბაბუცას მეგობარიც თან მიაყოლეს, მაშინ ბაბუცა ტირილით გულში ჩაეკრა ბებიას და ყველაფერში გამოუტყდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს ფიჩხი.

(ანაკი)

ერთ ჰატარა სოფელში ცხოვრობდა ძრიელ ღარიბი ფეიქარი, რომელსაც დიდი ჯალაბი ჰყვანდა შესანახი. მართალია თვითონ და თავის ცოლი დილიდან საღამომდის მუუაითად მუშაობდენ და არც ძალ-ღონეს ზოგავდენ, მაგრამ მაინც ძალიან სიღარიბეში იყვენ, რადგან წვრილ შვილის და მოხუცებული დედის შენახვას არა სწვდებოდა მათი ნამუშავარი. თვითონ მოხუცი ფეიქარი კეთილი ადამიანი იყო და მეზობლებთან კაი განწყობილება ჰქონდა.

საშინელი ზამთარი იდგა, ფეიქრის ქოხში სიცივის გამო მუშაობა შეუძლებელი შეიქმნა. ერთ დღეს ფეიქრის ჰატარა ვაჟიშვილი წავიდა ტყეში შეშა-ფიჩხის მოსატანათ, როდესაც უმაწვილი შევიდა დაბურულ ტყეში შეამჩნია, რომ მიწაზედ ეგდო ღრმათ მოხუცებული ბერი—კაცი, ზურგზედ ერთი დიდი კონა ფიჩხი ეკიდა და ეწვალებოდა ადგომას, მაგრამ ვერ ახერხებდა... ბავშვს შეებრალა ბერი—კაცი და მიეშველა,—მაგრამ იმდენი ძალ-ღონე არ ჰქონდა რომ მოხუცებული წამოეყენებინა. ბევრი ეწვალა და როცა ვერას გახდა ბოლოს უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, ბაბა! ეგ ფიჩხი მაინც გადააგდე,—ეუბნება მაშინ როგორმე აგაუენოო'.

— არა, არა... არაფრის გულისთვის!.. შესძახა ბერი-კაცმა,—სჯობია შენ ჩემი უავარჯენი მომაწოდო, რომელიც ხელიდან გამივარდა!..

ბავშვმა უავარჯენი მიაწოდა. ბერი-კაცმა მოჰკიდა თუ არა ხელი უავარჯენს მაშინვე ფეხზედ დადგა და არც ფიჩხის კონა მოუშორებია.

— გმადლობ ბატარავ,—უთხრა ბერი-კაცმა ფეიქრის შვილს,—შენ დამიხსენი ამ გაჭირვებიდან, თორემ დიდი ხანი მომისდებოდა ამ უდაბნო ტუეში გდება, აქეთ ხომ გამვლელი ნაკლებათ არის... და მაგ შენი კეთილი გულისთვის მე მზათ ვარ გადაგისადო სამაგიერო. აბა, მითხარი, რას მოისურვებ!

— ეჰ, ბაბა!... უთხრა ფეიქრის შვილმა,— მე დიდხანს დავეევი შენთან და დამიბინდდა, სახლში ფიჩხს ელოდებიან. გამიეავი შენი კონა ფიჩხი, რადგან ესლა ფიჩხს მოგროვების დრო აღარ არის!..

— სულ ეგ არის შენი თხოვნა? მაშ კარგი,— უთხრა ბერი-კაცმა,—აი წაიღე ჩემი კონა ფიჩხი და გზა მშვიდობისა.

— სად შემიძლიან მაგოდენა კონა ფიჩხი ვატარო, უთხრა ბავშვმა,—ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ.

— მაშ კარგი! წაიღე ჩემი უავარჯენი; ამითი ჩქარა მიხვალ სახლში და ფიჩხსაც ადვილათ მიიტან.

მოხუცმა უავარჯენი მისცა, თავისი შეკრული კონა ფიჩხი აჰკიდა— და თვითონ უეცრათ გაჰქრა,—თითქო დედამიწამ ჩანთქაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოცებული ბავშვი აქეთ-იქით იეურებოდა —ბაგრამ ბერი—კაცი არსადა ჩანდა. ემაწვილი მიდიოდა და სრულიათ ვერ ჭვრმნობდა ფიჩხის სიმძიმეს. თითქოს ბუმბული ჭკიდიაო, თითქოს ფრთები გაძოესსაოდა ის მიაფრენს ტეის ბილიკებზეო.

—

ამ დროს სახლში მოუთმენლათ ელოდენ ბავშვის დაბრუნებას, და არა ერთხელ მოხუცი დიდედა გადიოდა გარეთ და გასცქეროდა გზას, რომ იქნება თვალი მოეკრა დაკარგული შვილი-შვილისთვის.

შუა ღამე გადასულიეო, რომ ფანჯარა ვიღამაც დაარაკუნა და როდესაც დიდედამ გაიღო კარები, ქოხში ამაყათ შემოვიდა ჩვენი ჰატარა ფეიქრის შვილი, დიდი კონა ფიჩხი ზურგზე აკიდებული და მსხვილი უავარჯნით ხელში.

— სად დაიკარგე ამდენ ხანს?!. დაუყვირა მოხუცმა ფეიქარმა,—ჩვენ გვეგონა, რომ გზას ვეღარ გამოიგნებ!..

— ღმერთო ჩემო!.. შესძახა დიდედამ,—როგორ მოერიე ამოდენა ფიჩხს?..

ბავშვი ღიმილით მიუახლოვდა ტახტს და ზედ დააგდო შეკრული კონა ფიჩხი...

ოჰ, საკვირველებავ!.. ტახტმა დაიჯრიალა, ჩაიზნიქა, ფეხები მოემტკრა და ძირს იატაკზედ ფიჩხიანათ გაიშლართა. ამ დროს ვინც ქოხში იეო გაოცებულებმა ერთ ხმათ შეჰყვირეს,—ოჰ, საოცრებავ!..

მთელი კონა ფიჩხი ოქროსი იეო...

ბავშვმა ყველას უამბო რაც გადახდა მას ტეეში, როგორ იპოვა წაქცეული ბერი-კაცი, როგორ დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხძარა და წაძოაუენა, როგორ სამაგიერით თავისი კორა ფიჩხი და ეავარჯენი დაუთმო.

— ოჭო! აი რაშია საქმე, — თქვა დიდედამ, — სჩანს ის არ ეოფილა უბრალო ბერი კაცი, ის ეოფილა ღვთის გამოგზავნილი... კარგია შვილო, რომ შენ თავაზიანათ მოქცევიხარ, გიშველია გაჭირებაში და გულ-კეთილობა გამოგიჩენია!.. ამიტომაც დაუსაჩუქრებიხარ აგრე!..

მას აქეთ ღარიბმა ოჯახმა იწეო გაუჭირებლათ და გემრიელათ ცხოვრება.

ვანო საათაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კენგურუ.

ება მიბოძეთ გაგეცნოთ:—მე გახ-
ლავართ კენგურუ, ჩემი სამშობლო
არის მშვენიერი ავსტრალია. დიდი
სანია რაც მე იქიდან წამომიყვანეს და როგორც
იქნა შევეჩვიე თქვენ ჰავას, თქვენ ტუვიის ფერ ცას.
ყველა ძრიელ საკვირველ ცხოველათ მთვლის და
მართლაც რომ ჩემი მსგავსი ცხოველი არ მოიპო-
ვება დედამიწაზე. მე მაქვს ძრიელ გძელი უკანა ფე-
ხები და კუდი, ასე რომ სულ ზეზე დავხტივარ. ჩე-
მი კუდი და უკანა ფეხები სამ-ფეხა მაგიდას მიე-
გვანება და ისე მაგრა ვარ მათზე დაბჯენილი, თით-
ქოს სამ-ფეხაზე ვიჯდეო. ჩემი წინა ფეხები ძრიელ
მოკლეები არიან და გვანან თქვენ, ადამიანის, ხე-
ლებს. იმითი მე ჩინებულათ ვიჭერ ყველაფერს, ვიფ-
ხან თავს, როცა მეფხანება და ვარწევ ჩემ ჰატარა
შვილებს.

ფეხები ჩვენ აგებულობაში სწორეთ შესანიშნა-
ვია! ყველაზე შესანიშნავი-კი არის მუცელზე მიკრუ-
ლი ტყავი—ჰარკი ანუ გუდა. როცა მინდა და ჩემ-
თვის საჭირო არის, ამ გუდას გავხსნი, როცა აღარ
არის საჭირო, მაშინ მე ისე ჩელოვნურათ ვკეცავ
ჩემ გუდას, რომ მის მაგივრათ სულ ჰატარა ტყა-
ვის ნაოჭი-ღა ემჩნევა. ამ გუდაში ვზრდი ჩემ ჰა-
ტარა უხუსურ შვილებს. აბა, ჩემო ჰატარებო, გიამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობთ ჩემ ამბავს და ვინძლო, კარგათ მომისმინოთ.

მე ჩემი თავი, სწორეთ იმ დროიდან მახსოვს, როცა არსეინათ ვიჯექი დედიჩემის გუდაში, იქიდან გამოვიუურებოდი და მხიარულათ შევცქეროდი ავსტრალიის ლურჯ ცას, მწვანე მინდვრებს, შორეულ მთებს, რომელნიც შორიდან ცის კიდეზე მშვენიერათ მოჩანდენ. ეს საუცხოვო მინდორველი, მთები, ბრწყინვალე ცა, იყო ჩემი სამშობლო. დედაჩემი სმირათ მეტყოდა, რომ ჩვენი წინაპრები — კენგურუები მხიარულათ დასტოდენ იმ დროსაც, როდესაც ავსტრალიაში ადამიანის ხსენებაც არ იყო. ასე რომ, უხსოვარი დროიდან ავსტრალია ჩვენი სამშობლო ყოფილა. აქ თურმე მშვენიერი ცვრიანი ბალახი იზრდებოდა, ჩირგვებზე მრავალი ჩვენი მასაზრდოებელი სილი მწიფდებოდა. ჩვენ ბალახს ვმოვდით წენარნი, მშვიდნი, არავისთვის ავი არ გვსურდა. მახსოვს, დედა ჩემი მოვიდოდა ჩირგვთან, წინა ფეხებით მოგლეჯდა სილს, ოდნავ თითებით გასრესდა, რომ დაერბილებინა და პირში ჩაიდებდა. როცა ბალახის მოვნა მოუნდებოდა, მაშინ-კი დიდი სერხი სჭირდებოდა. ჩვენ ხომ სიარული ოთხივე ფეხებით არ შეგვიძლიან, ადგილიდან რომ დავიძრათ, უნდა ან ერთბაშათ გადავსტეთ ორ-სამ საჟენზე, ან და უნდა მუცლით ვიფორთხოთ. დედაჩემი ფორთხავდა ამნაირათ: წინა ფე-

ხებით დეებჯინებოდა დედა-ძიწასხედ, უკანა ფეხებს შეჰეოფდა წინა ფეხებში, კუდზე დაებჯინებოდა და ასე ამნაირათ ფოფსავდა.

ერთხელ მე ვიჯექი დედაჩემის გუდაში, ეურები აცქვეტილი მქონდა, როგორც კურდღლის ბაჭიას. მხიარულათ შევცქეროდი ძირს ბალახს და მაღლა ცას. დედა ჭგლეჯდა ქლიავს, ჰირში იდებდა, მერე დაიკუზებოდა ჩემსკენ და თავის ჰირიდან ხილს ჰირში ჩამიდებდა. ამ გვარათ აჭმევენ დედა კენგურუები შვილებს ხილს.

— გინდა ნახო ახლათ შობილი კენგურუ? მკითხა ერთხელ დედამ.

— მინდა, მიუგე—როგორია ნეტავი ახლათ დაბადებული?

— მაგრათ იჯექი გუდაში, არ ამოვარდე და მე ახლავე გიჩვენებ.

მე ღრმათ ჩავმჯერი და დედაჩემი-კი ხტუნვით სადღაც გაქანდა. ისე მაღლა-მაღლა ხტოდა, რომ მე მეგონა ჭაერში ვფრინავ მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ერთ უცნობ მინდორზე მივედით, სადაც ოთხი კენგურუ ბალახობდენ.

— ერთი ამათგანი შენი დეიდაა,—მითხრა დედამ—დღეს ამას ეეოლა ჰატარა შვილი, აი ახლავე გიჩვენებ.

დეიდამ და დედაჩემმა, იცნეს თუ არა ერთმანეთი, ორივენი უკანა ფეხებზე დადგენ, წინა ფეხებით გადაეხვიენ ერთი-მეორეს, თავები უკან, გადიწიეს და მიესალმენ. ამ გვარათ კენგურუები ერთი-მეორეს სალამს აძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არის ახლათ შობილი? დაეკითხა დედა-ჩემი.

დედამ, კბაუოფილების ნიშნათ, ეურები დაბარტეუნა. ამავე დროს მუცლის გუდა ისე შეიკეცა, რომ თითქმის აღარაფერი სჩანდა. ჩვენ-კი დავინახეთ ერთი ბეწო, ბრმა, სრულებით ტიტველი ცხოველი, რომელსაც ფეხების მაგივრათ რაღაც მეჭეჭები ჭქონდა. ის დედის ძუძუს წურბელასავით მიჭკრობდა. ამ სანასაობამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ფეხები სადღა აქვს? ვკითხე მე დედას.

— ფეხები მხოლოთ ცხრა კვირის შემდეგ გაეზრდება, სამი თვის შემდეგ ბალნით შეიმოსება და თვალებიც აეხილება, რვა თვის შემდეგ-კი ეგეც ისე დაიწყებს ცქერას დეიდის გუდიდან, როგორც შენ, ჩემო კარგო! — მითხრა დედამ.

ჰატარას ძრიელ დავაცქერდი და ვიკითხე გაკვირვებით:

— საწყალს როგორ უნდა შიოდეს, რომ ასე სარბათ სწოვს და ძუძუს ჰირიდან არ იშორებს!

— არა, შვილო, ასე არ არის როგორც შენ ჭგონია; კენგურუ, დაიბადება თუ არა დედა ჰირით აიყვანს, ჩასვამს თავის გუდაში და ჰირს ძუძუზე მიადებინებს, რომელიც მას იქვე აქვს. ასე რომ ჰატარა კენგურუ ძუძუს ჭკიდია სულ მოუშორებლივ, სანამ ორჯელ-სამჯერ მეტი არ გაიზრდება, ვიდრე ესლა არის.

— შესედე, დედა, თითქო იხრჩობაო, როგორ დაეწაფა რძეს. რათა სწოვს ამდენს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ და დეიდამ კადახედეს ერთმანეთს და უურები დაბარტეუნეს.

— სულელო, ჩემო ჰატარავ, განა კენგურუმ წოვა იცის? ეს ერთათ ერი ცხოველია ქვეყანაზე ძუ-ძუ-მწოვართაგანი, რომელმაც წოვა არ იცის. რძე თითონ ესხმება ჰირში და ჰატარას სურვილს სრულებით მნიშვნელობა არა აქვს.

ჩვენ დავრჩით დეიდასთან ერთ საათზე მეტი. მე ამოვსტი დედის გუდიდან, დავიწყე ხტუნაობა, თამაში მწვანე ბალახზე, რომელსაც ახლა უკვე მადიანათ ვჭამდი, ასე რომ დედა ჩემი საზრდოზე აღარ ზრუნავდა. მან კარგათ იცოდა, თუ-კი მოიშივდებოდა, საჭმელს საკმაოთ ვიშოვიდი. მე დედას კარგა დიდმანძილზე მოვშორდი. ამ დროს მომესმა რაღაც არა ჩვეულებრივი ხმაურობა. ეგონა ჩვენ სრულებით არა გვაქვს, ვერც კარგი მხედველობით დავიკვეხნით, მაგივრათ სმენა შესანიშნავი გვაქვს. ჩვენ გვესმის სულ მცირეოდენი ფაჩუნიც-კი. დედა და დეიდა ჩემი აიძარეთენ, უკანა ფეხებზე დადგენ და სმენათ გადიქცენ. ხმაურობა უფრო ახლოვდებოდა!

— ეს ძაღლებია, სთქვა დედამ,—ადამიანიც ახლო იქნება!

ჩვენ ძრიელ მშიშარნი ვართ, არასოდეს არავის არაფერს არ უშავებთ და ამიტომ არც სხვის წინააღმდეგ საბრძოლი იარაღი გვაქვს. დედამ დამიძახა. მე რაც ძალი და ღონე მქონდა გავქანდი მისკენ და სწრაფლათ ჩავმვერ გუდაში და საშინელის სისწრაფით გავეშურენით ღმერთმა იცის საით.

ამ დროს დავინახეთ რამდენიმე ცხენოსანი ჰირ-
დაჰირ ჩვენკენ მოაშურებდენ. თოფები მზეზე ჰრიალ-
ლებდენ, დაგეშილი ძაღლები მოსდევდენ მათ.

— მაგრათ ჩამეჭიდე, შვილო, უნდა მტერი ავი-
ცდინოთ, თორემ ეს არის დავიღუჰებით.

მე ჩინებულათ მოვიკალათე გუდაში და გავქან-
დით. გავქანდით, მაგრამ როგორ გავქანდით! ეშმაკე-
ბიც ვერ მოგვეწეოდენ. ძაღლები ფეხ და ფეხ გვდევ-
ნიდენ. დედა ჩემი თორმეტ-თხუთმეტ ადლზე სტებოდა.
უშველებელ ჩირგვებზე მარდათ გაჰქროდა. ამ გვარათ
მივსტოდით ორი საათი. უცბათ თოფი გავარდა და
საწყალი დეიდა ჩემი უსულოთ დაეცა. მდევრები მის-
ცვივდენ და მსწრაფლ ტყავი გააძრეს!

საბრალო დეიდავ!! როგორ მალე მოგესჰო სი-
ცოცხლე. წამოვიძახე კანკალით.

დედა ჩემი ქარივით მიჰქროდა. ძაღლები ფეხ და
ფეხ მისდევდენ.

— აღარ შემიძლია მეტი, შვილო, ძრიელ მაძ-
ძიმებ, ღონე გამომელია. ვატყობ რომ ჩემი განსაც-
დელის საათი დადგა. მაგრამ შენ ნუ გეშინიან, უსა-
თუოდ გადაგარჩენ. ჩვენ ბედზე აქვე წყალია, მე ჩგ-
მალავ აგერ ბუჩქებში, სმა გაკმინდე, თავი მოიმკვდა-
რინე. შენი აქ ყოფნა არ შეამჩნიოს ბოროტმა ადა-
მიანმა, მე-კი ვეცდები თავი გადავირჩინო მდევრები-
საგან.“ თქვა ეს და ჩამსვა ჩირგვებში, ამოძმალა ჩე-
მი ქურქის ქვეშ და თვითონ წელისაკენ გაეშურა. ძაღ-
ლები მას გამოუდგენ ისე, რომ მე გადურჩი იმათ კბი-
ლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა წყალში ჩახტა. წყალი იმას წელზე ადგა, ძაღლებიც ცურვით მივიდენ იმასთან, როგორც-კი ჰირველი ძაღლი მიუახლოვდა იმას, დედამ წინა ფეხებით მძლავრათ ჩააყურეუმელავა წყალში და იქამდის გააჩერა, სანამ ძაღლი არ დაიხრჩო. ამ რიგათ მან დაახრჩო სამი-ოთხი ძაღლი, მერე ამოხტა წყლიდან და სტუნვით გაუდგა გზას. მაგრამ დიდხანს ვერ შესძლო სირბილი, ძაღლები დაეწიენ. მან უკანა ფეხებით რამდენიმე ძაღლი მოჭკლა. შემდეგ-კი აღარ მახსოვს რა მოხდა. მე თავს წამოვადგა ბოროტი ადამიანი, დაიღუნა, ამიყვანა სელში უკანა ფეხებით და დიდი სიამოვნებით წამოიძახა: „რა ლამაზი საშოვარი ვიშოვე. წავიყვან ევროპაში და კარგ ფასათ ჰირუტყვთა ბაღში მივყიდი.“

მაგრათ შემიკრა უკანა ფეხები, გადამიკიდა ზურგზე და გაუდგა გზას, მე თავ დაღმა ვეკიდე, სისხლი თავ-ჰირში წამომივიდა, ენა გამოვაგდე, საშინელი წყურვილი მტანჯავდა. ვინ იყო ჩემი შემბრალე! შორიდან ძაღლების ყეფა ისევ მოისმოდა.

— საბრალო ჩემი დედა, გავიფიქრე მე, და გრძნობა დამეკარგა.

როცა მოვედი გონს კიდეც დაღამებულიყო ფეხები ისევ შეკრული მქონდა, საშინლათ ვწუხდი. ჩემ გვერდით ეყარენ ჩემი მოგვარეები-კენგურუები. ფეხები ამათაც შეკრული ჰქონდათ და უსათუოთ ამათაც ძალიან სწყუროდათ. იქვე ჩვენს ახლოს დიდი ცეცხლი ენთო, რომლის გარშემოც ისხდენ ჩვენი მტერნი და არჩევდენ კენგურუების ტყავებს. იქვე ძაღლები ისვენებდენ მთელი დღის ოფის შემდეგ. ეტყობოდათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვებით ამაყობდენ. თავიანთი მოვალეობა სრულიად დისიერათ შეესრულებინათ. მე საშინლათ მცივოდა, მინდოდა დედი ჩემის გუდაში ჩავხტომილიყავ: იქ ისე ტკბილათ და თბილათ ვატარებდი ჩემ ჰატარაობას.

— დედი, დედი' სადა ხარ! წამიყვანე ჩქარა, მცივა! წამოვიყვირე, მაგრამ დედამ ჰასუხი არ გამცა და ისევ გრძნობა დავკარგე.

გათენდა თუ არა ჩვენ ჩაგვეარეს ურემში და სადღაც გაგვამგზავრეს. საშინელი წუურვილი გვტანჯავდა ყველას. ცოფიანი ძაღლებივით ენები გადმოგდებული გვქონდა, ურმის რკინას ვლოკავდით და მითი ვგრილდებოდით. საღამოს ერთ დიდ ქალაქში შევედით, ქუჩაში მრავალი სალხი ბუზებივით ირეოდენ, ეტლები დაგრიალებდენ, მრავალი ფანრები ანათებდენ, ჩვენ მთელი ქალაქი გაგვატარეს და ნავთ-სადგურზე მიგვიყვანეს, სადაც იდგა უზარ-მაზარი ორთქლ-მავალი გემი. ზღვის ქარმა შემოგვბერა და ცოტა არ იყოს გაგვაგრილა.

— მადლობა ღმერთს, მალე გვასმევენ წყალს წამოიძახა ერთმა კენგურუმ.

გემის მუშებმა შეგვიგდეს ზურგზე და გადაგვიყვანეს გემზე. აქ ჩვენ დაგვაბინავეს სადღაც ქვემო სართულში ოთხ კედელ შუა, სინათლე მხოლოთ ზევიდან მოჩანდა, თითქოს ხის ეუთში ვართ ჩამწყვდეულნიო. გაგვიხსნეს ფეხები და თავისუფლება მოგვცეს თუ-კი ამ კოლოფში ეოფნა თავისუფლებათ ჩაითვლება. არსად გაქცევა არ შეგვეძლო. მოგვიგდეს თივა და წყალი, რომელსაც ხარბათ დავეწაფეთ. აი მოისმა რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც კივილი და გემი დაიძრა. ჩვენ გავემგზავრეთ შორეულ ქვეყანაში — ევროპისკენ.

— მშვიდობით, საყვარელო სამშობლო, ამოიოხრა ჩემმა მეზობელმა კენგურუმ. — მშვიდობით, საყვარელო ავსტრალია, ჩვენო ბრწყინვალე მზეო და მუდამ მსიარულო, ლურჯო ცაო!

მე შიშით აღარ ვიუავი: მაშინებდა გემის ქანაობა, ჭახრაკების ტრიალი, მივიმალე კუთხეში და ვთრთოდი. მოვინდომე ეკირილი, ტირილი. ეჩიოდი ადამიანის უსამართლობაზე. რათ არი ადამიანი ასეთი ბოროტი, რომ ასეთ პატარა უღონოს სამუდამოთ აშორებს მშობელ დედას, მის მოვლას და საყვარელ ალერსს.

— მშვიდობით, დედა, მშვიდობით სამუდამოთ! — ეჩურჩულებდი — ვერასოდეს ვეღარ გნახავ!

გავიდა დღეები, ღამეები, როგორც იქნა მივასწიეთ ამ უცხო მხარეს — ევროპას. ჩვენ გადმოგვსხეს ნავირზე ქალაქ გამბურგში.

ზამთარი იდგა. ციდან ცვიოდა ბამბა და ფრინველების თეთრი ბუმბული. მთელი დედა-მიწა დაფარული იუო თეთრათ. მე ნავირზე ვიდექ, შიშითა და სიცივით ვკანკალებდი, შევცქეროდი, როგორ გემიდან გადმოჭუავდათ ცხელი ქვეყნის ცხოველები: სირაქლემები, ლომები, ვეფხები, სპილოები, თუთიუუშები და სხვები. ეველანი ღრიალებდენ შიშით და არა ჩვეულებრივი სიცივით. ჩვენ შორის დადიოდენ სამხეცეების პატრონები, ათვალიერებდენ მხეცებს, ევაჭრებოდენ და ეიდულობდენ. ერთი მათგანი მოვიდა ჩემთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგზე ხელი გადამისვა და სთქვა:—ეს ჰატარა ლამაზი გამოდგება ჩვენი ზოოლოგიის ბაღისთვის.

მე და ორი კენგურუ გვიყიდა ამან. გალიაში ჩაგვსვა, რკინის გზის სადგურზე მიგვიყვანა და იქიდან ჰატარებლით სხვა ქალაქში გაგვამგზავრა.

— ნეტა რა არის რომ აგრე ხმაურობს და საზარლათ გაჭკივის! მკითხა ჩემმა მეგობარმა კენგურუმ, მაგრამ მე შიშისაგან ძლივს ვითქვამდი სულს და ჰაერის მიცემა სად შემეძლო.

დილით ადრე მივედით ერთ დიდ ქალაქში. იქიდან, ისევ გალიებით, გადაგვიყვანეს ზოოლოგიურ ბაღში.

ჩვენ კარგა დიდი ამწვანებული ბალახით ეზო გვქონდა, რომელიც შუაზე რკინის მესერით იყო გაყოფილი, ერთ ნაწილში ჩვენ ვიყავით, მეორე-კი ცარიელი იყო. ეზოში ფეჩებს ახურებდენ, რომ ჩვენ სითბოს ძიჩვეულნი არ დავსოცილიყავით სიცივით. მე და ჩემი მეზობელი კენგურუ ხშირათ გამოვდიოდით ეზოში, დავსტოდით, ვთამაშობდით, როცა მზე ანათებდა და ვიგონებდით ჩვენ საყვარელ სამშობლოს.

ხშირათ მოდიოდენ სანახავათ ბავშვები და დიდებიც გვათვალიერებდენ, გვშინჯავდენ, უკვირდათ ჩვენი სხეულის მოწყობილება.

— ნუ თუ ჩვენი ტყვეობა მათ ასიამოვნებს?

ერთხელ ერთ ჩვენ მნახველზე შევნიშნე ქუდი და საყელო კენგურუს ქურქისა. მე ძრიელ მეწყინა, რათ არის ადამიანი ასეთი ულმობელი გულისა, რომ თავის ფუფუნებისათვის ხოცავს ჩვენისთანა უწყინარ ცხოველებს და სამუდამოთ აშორებს დედას თავის შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულაძღის ასე ძუძერთ ვცხოვრობდით; ძერ უცაბედათ დიდი ცვლილება მოხდა ჩემ ცხოვრებაში.

ერთხელ ჩვენმა დარაჯმა გულმოდგინეთ დაიწყო წმენდა ჩვენი ეზოს მეორე განეოფილებისა; დააგო ჩალა, მოამზადა საჯმელი და ამ დროს ეზოს მოადგა დატვირთული ურემი. იქიდან ოთხი კენგურუ გადმოსხეს: ორი ჩვენ ეზოში შემოიყვანეს და ორი ძეორეში. წარმოიდგინეთ ჩემი უზომო განცვიფრება, როდესაც ამ ერთ ახალ ძოყვანილ კენგურუში ჩემი საწყალი დედა ვიცანი. რა სიხარულით მივვარდი და დაუწყე ჩვენ ენაზე ღრუტუნი. უკანა ფეხებზე დავდექ, და ყურები დავაბარტყუნე; მან ჯერ ამხედ-დამხედა, შემდეგ ამიტაცა წინა ფეხებით და მიმიტანა ჰირთან.

დიაღ დედამაც მიცნო, იმანაც ჰასუხი გამცა ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაზე, დაბარტყუნა ეურები, სიხარულით მიმიკრა გულ-ზე და სწრაფათ ჩამისვა თავის გუდაში. მე ახლა დიდი ვიყავი, ძლივს ჩავეტიე შიგ, დედას ეშმიმა, მაგრამ მე ძალიან კარგათ ვგრძნობდი ჩემს თავს! როგორი სითბო მომდიოდა ჩემი საყვარელი დედის სხეულიდან და მარტო აღარ ვგრძნობდი თავს.

დედა ჩემს აქ ყველაფერი ეუცხოვა და გაკვირვებით იცქირებოდა აქეთ-იქით. ჩემმა მეზობლებმაც იცნეს ახლათ მოსულში თავიანთი მეზობელი კენგურუ. მისცვივდენ რკინის მესერს და რამდენათაც შესაძლო იყო მიესალმენ ერთი-მეორეს: დადგენ უკანა ფეხებზე, თავები გადიწიეს, წინა ფეხები გადუწვდინეს ერთმანეერთს და გადაესვიენ.

ადვილი წარმოსადგენია, თუ შემდეგ ჩვენ თავს რა ბედნიერათ ვთვლიდით. აღარ გვაწუხებდა მარტოობა, ჩვენ ვსტოდით, ვცელქობდით... მაგრამ ხშირათ, ძალიან ხშირად ვიგონებდით ჩვენ საყვარელ სამშობლო ქვეყანას.

— ავსტრალია, სადა ხარ?

ივლიტა ნაკაშიძე.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაყაყი-ბარომეტრი. *)

(გადმოკეთებული რუსულიდან)

ვატო და ჰეტო თავიანთ ოთახში ისხდენ და მოუთმენლათ ლადო ძიას ელოდენ.

— ნეტა თუ ამ ჯერობაზე რაღას მოგვიტანს ჩვენი ძია ლადო! თქვა ჰატარა ბუნჩულა ჰეტომ.

— „მე მგონია დღეს ძია მოგვიტანს რომელიმე ნასატებიან წიგნს!" წამოიძახა კატომ და სწორეთ ამ დროს ფანჯრიდან დაინახა მომავალი ძია.

— „ძია მოდის, ძია მოდის!" დაიყვირა უცებ კატომ.

ჰატარა ჰეტო-კი მივარდა სწორედ იმ კარებს, საიდანაც უნდა შემოსულიყო ძია და დიდის ამბით მიეგება მას. ბავშვები საჩუქრის მიღებას დაჩვეულები იყვენ და ამიტომ მოუთმენლათ დაუწყეს სელებში ცქერა. ძია ლადო შემოსვლისთანავე ჩამოჯდა სკამზე და რაღაცას გახსნა დაუწყო. ბავშვები თვალს არ აშორებდენ, მაგრამ უეურეთ იმედის გაცრუებას! კარგ სასიამოვნო საჩუქრის მაგიერ ძიას ეჭირა შუშის ქილა, რომელშიაც მოთავსებული იყო ჰატარა კიბე და ზედ

*) ბარომეტრი გვიჩვენებს ამინდის ცვლილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეზედ-კი ბაუაეი წამოსკუპებულიეო. კატო და ჰეტო გაკვირვებული ერთმანერთს შესცქეროდენ და ვერ გაეგოთ თუ რისთვის დასჭირდა ძია ლადოს მაგ უშნო ბაუაეის მოტანა.

ძიამ გაკვირვებული სახე რომ შეამჩნია თავის ძმისწულებს, მაშინვე ამ ბაუაეის მნიშვნელობის ახსნას შეუდგა:

— ჩემო ჰატარებო, მე ვხედავ, რომ თქვენ ძალიან გაგიკვირდათ და სიცილიც მოგვარათ ჩემმა მოტანილმა საჩუქარმა, მაგრამ, როცა ეურს დამიგდებთ, დარწმუნდებით თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის ამ ბაუაეს. მაგალითად, თქვენ გინდათ შეიტეოთ შეიცვლება ამინდი თუ არა? იმის მაგიერ, რომ დააკვირდეთ ცასა და ღრუბლებს, უკეთესია შეჰხედოთ ამ ბაუაეს. თუ იგი კიბის ზემო საფეხურზეა წამომჯდარი — სჩანს კაი დარი იქნება, თუ შუა ალაგას ზის, დარი საშვალო იქნება და თუ სულ დაბლაა ჩასული, მაშინ უთუოდ გაავდარდება. ასე რომ ამ გვარი ბაუაეი თუ ცუდი ამინდია სულ ძირში ჩაიმალება, და თუ კარგი ამინდია ზემოთ ამოდის და თბება. და სწორეთ ამითია შესანიშნავი, რომ იგი ჩვენზე ადრე გრძნობს ამინდის ცვლილებას.

ბავშვები ძიას დიდი ეურადღებით უსმენდენ. ბოლოს ჰეტომ უცებ წამოიძახა!

— რა საჭირო იეო ამ ბაუაეის ეიდვა და დიდი ამბით მოეკანა! ჩვენ სასლის მასლობლათ რომ ჭაობია იქ იმდენი ბაუაეია, რომ სათვალავიც შეგეშლება.

ამაზე ძიამ უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ჩემო ჰეტო, დააკვირდი ამ ბაყაყს. რანაირია, მთლად მწვანეა. *) იქნება ამ გვარი ბაყაყები ჩვენ მახლობელ გუბეშიაც იყვენ, მაგრამ ესენი ისეთი მოხერხებულნი არიან, რომ კაცის მოახლოებაზე, მაშინვე მიიმალებიან ხოლმე. სხვა გვარი ბაყაყი-კი ვერ გაგვაგებინებს ამინდის ცვლილებას.

ამის შემდეგ ბავშვების მეგობარმა ძიამ დაარიგა ჰატარები, უჩვენა როგორ უნდა გამოეკვებათ ბაყაყი მატლებით და ბუზებით, რომ შიმშილისაგან არ მოჭკდომოდათ.

ანიკო.



*) ხის ბაყაყს ასე ეძახიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გასართობი.

სირაქლემა. როდესაც სირაქლემა მოკვდება ხოლმე მუზეუმში მას გასჭრიან შესატყობათ, თუ რა ჩაუელავია თავის სიცოცხლეში.

ამას წინათ, ნიუ-იორკში, გაჭრილ სირაქლემის სტომაქში იპოვეს შემდეგი ნივთები: მთელი ქოლგის რკინის ნაწილი და სის ტარიც, ორი დიდი გასაღები, შავი მვლის სავარცხელი, ორი დიდი ნაჭერი ქვის ნახშირისა, აბრეშუმის ხელთსახოცი, სამი ქისა, ორი ბოთლის ძირი, ბავშვის სათამაშოები და სხვა. სირაქლემა მომკვდარიყო ჭლექით და არა კუჭის ავადმყოფობით, როგორც ფიქრობდენ მნახველნი.

ბედნიერი ოჯახი. „ჩემო გოგონავ, მე ბაზარში ვიყავი და იქიდან მოვიტანე ეს მშვენიერი მსხალი". უთხრა დედამ თავის ქალს. ქალმა დედას მადლობა უთხრა, მაგრამ მსხალი-კი არ შეჭამა. იმან შეუნახა მსხალი ძმას და როდესაც ის სკოლიდან დაღალული დაბრუნდა, შესთავაზა. ძმას ძრიელ უნდოდა შეეჭამა ეს მშვენიერი ყვითლათ დამწიფებული მსხალი, მაგრამ გაახსენდა მამა, რომელიც მუშაობდა საშინელ სიცხეზე და იმას გაურბეინა. მამას ძრიელ ესიამოვნა, მაგრამ მსხალი შესაჭმელათ ვერ გაიმეტა და როდესაც საღამოთი შინ დაბრუნდა, თავის ცოლს გადასცა. ასე მსხალი კვლავ დედას დაუბრუნდა. მან ღმერთს დიდი მადლობა შესწირა, რომ მის ოჯახში ამ გვარი პატივისცემა და სიყვარული არის.

ანდაზები.

ოქრო ფუთობით არ იყიდება.

—

შემწვარი მტრედი მისით პირში არავის უვარდება.

—

ვინც აკაკუნებს, იმას უღებენ.

გამოცანები.

(ჩაწერილი ან. კაბანაძესაგან).

დედა მყვანდა ბრანდი-ბრუნდი,
და არ მზისა მინადარი,
სიძე ასე ფალავანი
ადამისა წამძევარი.

—

აჯინჯარი ბაჯინჯარი
ოთხი ფეხით მაბიჯარი.
არცა უნდა თივა-ქერი,
არცა ლაგამ-უნაგირი.

აკროსტიხი.

(წარმოდგენილი დადო გეგეჭკორისაგან).

ვაჟკაცობით განთქმულია,—
ამას თქმა არ ეჭირვება:
ჟამივით სძულს პირფერობა,
ამაყობა ეჯავრება!
ფრთა გაშლილი მისი სული
შორს მიფრინავს, მთებში ქრება,
ამაყ არწივს ეკვეთება,
ვეფხს გმირულათ ეომება!..
ეტრფის იგი თვის სამშობლოს
ლამაზსა და ზურმუხტოვანს;
ამკობს ლექსით, უმღერს ნანას
ამ ციცაბო კლდეებს მხცოვანს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხი.

ედმა აღარ გამიღიმა:
ვერ მოვესწარ ნანატრ დღესა,
ვერ მოვესწარ კარგად ეოფნას,
სიხარულს და სიკეთესა!
ვფიქრობდი და ვოცნებობდი:
ისსნის-მეთქი მომავალი,
მაგრამ ესლა მე ბეჩავსა
მთლად დამებნა გზა და კვალი!

წეულ გვალვამ მოსავალი
გამიფუჭა ერთიანა
და გულს ტანჯულს ზედ დაასო
გალესილი მჭრელი დანა!
არ ვიცი რით გაძოვკვებო
ჯალაბობა დამშეული,
რადგან აღარ მაბადია
აღარც ბური, აღარც ფული!
თუ რამ მქონდა, გზირს მივეცი,
გავისტუმრე ჩარჩის ვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღეს არ მაქვს კაპეიკთან
კაპეიკი მისათვალი!
თან ტიალი ეს ზამთარი
შემიწუსებს სულს და გულსა;
ზედ შემმატებს სხვა გასაჭირს
მრავალ მხრიდან დადაგულსა!
ნუ გგონიათ, რომ დღეს ვინმე
იოს ჩემებრ უბედური:
არ მაქვს სახლი, არ მაქვს ბინა,
არ მაქვს საზრდო, არ მაქვს ჰური!
და ძოძავლის იმედებზე
ამიცრუვდა ისევ გული:
—ნეტა, შევძლო,—ვასაზრდოვო
მე ცოლ-შვილი დამშეული!

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფი.

(დასასრული)

მ ამბის შემდეგ გავიდა დრო, განაგრძო ექიმმა,—მე გავათავე უნივერსიტეტი და წავედი სხვა ქალაქში სწავლის დასამთავრებლათ.

—წელიწად-ნახევრის შემდეგ მართლაც და გამოცხადდა ომი ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთა 'მორის, ზანგების გასანთავისუფლებლათ. მეც იქ ერთ-ერთ ჯარში ექიმათ დამნიშნეს. გზათ სწორეთ იმ ქალაქში გავიარეთ, სადაც ჩემი ძველი ნაცნობი პროფესორი ცხოვრობდა და შევიარე იმის სანახავათ. მე მაშინვე რუპერტის ამბავი ვკითხე. მამამ მწუხარებით გააქნია თავი.

— ავათ არის, მიპასუხა იმან,—წარსულ შობას აქეთ ჩამოქლექდა. საკვირველი ამბავია, ბავშვს ახლა სულ სხვა ფიქრები უტრიალებენ თავში. ნახეთ თქვენ თითონ, შეიძლება თქვენმა ნახვამ გაუფანტოს ის ფიქრები და გონებაზე მოიყვანოს.

რუპერტი თავის ოთახში იყო, ტახტზე იწვა გულ-აღმა და ნახევრათ ჰქონდა თვალები დახუჭული. გარშემო წიგნები ეყარა, უფრო მეტი ამერიკის შეერთებულ შტატების ისტორიისა. თავზეით ლურსმანზედ დაფი ეკიდა. ბავშვი სრულებით ლონე მიხდილი იყო. ჩემს დანახვაზე ლოყები ოდნავ აუწითლდა და თვალები გაუბრწყინდა. ეტყობოდა ჩემი მისვლა გაუხარდა. როცა გაიგო სადაც მივდიოდი, დაწვრილებით დამიწყო გამოკითხვა ომზე. მე ძალიან გამეხარდა, რომ გონზედ მოვიყვანე და გავართე.

მერე დამიჭირა მაგრა ხელები, მიმიწია ახლო და მკითხა ჩურჩულით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ექიმო, თქვენ ხომ არ დამცინებთ, რომ გითხრათ ერთი რ.მე?

— არა—ვუპასუხე მე.

— შობის შემდეგ, თქვენ რომ წახვედით, რამდენიმე კვირა ვიწექი ლოგინში—დაიწყო რუპერტმა, ამ დროს უკვე დაფმა, აი აქ ეკიდა, სადაც ეხლაა, დაიწყო დაკვრა, ჯერ ნელა და ჩუმათ, მერე უფრო ხმა მაღლა და ჩქარა, ბოლოს მთელ სახლში დაიგრიალა დაფის ხმამ. დაფი ამბობდა: „წადი, წადი პატიოსან საქმეზედ, როგორც შენი წინაპარნი“! შუალამის შემდეგ სიტყვები ისევ გამეორდა და მეც მესმოდა ისევ ის სიტყვები. მეორე დღეს რაც გავიგონე, არავის არაფერი არ უთხარი, ამის შემდეგ ხშირათ მესმოდა ხოლმე. შემდეგ გაჩუმდა... მაგრამ რაც ომი გამოცხადდა, დაფმა ისევ დაიწყო წინანდელი სიტყვების გამეორება, ჯერ ნელ-ნელა, მერე უფრო და უფრო ხმა მაღლა ისე, რომ ეშიშობ ხოლმე რომ მთელი სახლი ფეხზე არ დადგეს. მაგრამ, ექიმო და - ბავშვმა მოუსვენრათ შემომხედა—ეს ჩემს მეტს ხომ არავის ესმის, რასაც დაფი ამბობს?!

— უეჭველია რომ ეს არავის ესმის, გავიფიქრე მე და რუპერტიც დავარწმუნე:—შენს მეტს არავის ესმის მეთქი.

— დღეც გესმის დაფის ხმა? ვკითხე მე

— ჰო, იმის შემდეგ, როცა ჩვენ სახლისაკენ ჯარი გამოიცლის ხოლმე—დღეში ორჯელ მესმის დაფი როგორი მაღალი ხმით უკრავს, თითქოს გაჯავრებით: „წადი, წადი პატიოსან საქმეზედ, როგორც შენი წინაპარნიო“ და აი კიდევ რას მეუბნება: — „დააგდე წიგნი, შენი ძმები განსაცდელში არიან, უშველე, უშველეო“.

მე გაკვირვებით შევხედე, რუპერტს და მაჯა გავუსინჯე. ბავშვს თვალები ანთებოდა და მაჯაც ჩქარა უცემდა. ვცდილობდი ამეხსნა ეს მოვლენა რუპერტისათვის მით, რომ მას მეტის-მეტი მეცადინეობით და შინ ჯდომით ძარღვები აქვს მოშლილი, რომ ოცნებით მოღალული ტვინი ველარ არჩევს სიზმარს სინამდვილისგან. რუპერტმა ღიმილით მოისმინა ჩემი სიტყვები და მითხრა:

— მამა ჩემიც მაგას ამბობს: „ეს სულ ავად-მყოფობის ფანტაზიებიაო“, მაგრამ ეს ფანტაზია არ არის, მე მინდა წავიდე გავანთავისუფლო ზანგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმის თვალებში იფეთქა ისეთმა გადაწყვეტილების ალმა, რომ მე უარის თქმა ველარ მოვახერხე და აღუთქვი: მამა შენს მოველაპარაკები, თუ შენც შეასრულებ ჩემ დარიგებას, გასაღდები და გამაგრდები მეთქი.

სიხარულის ალმა იფეთქა რუპერტის თვალებში, მაგრამ ისევ ჩაქრა.

— მამა არ გამიშვებს. წაილაპარაკა იმან მწუხარებით.

— არ გაგიშვებს, მინამ ავადა ხარ, გასაღდები და რატომ არ გაგიშვებს?! თოთხმეტი წლისა ხარ? ვკითხე მე.

— უკვე ორი კვირაა რაც ჩავდექი მეთოთხმეტეში. მიპასუხა ბავშვმა. — იმ დიდებულ ომში თოთხმეტის წლისანი იყვენ მედაფეები? მოელაპარაკეთ მამაჩემს — მეხვეწებოდა ბავშვი.

მე აღუთქვი, თუმცა-კი თხოვნის ასრულების იმედი არა მქონდა. — მეც, რომ მყავდეს ვაჟი, არც მე გავგზავნიდი მეთქი, ვეუბნებოდი რუპერტს, მაგრამ რუპერტი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ უარის თქმა ველარ მოვახერხე. იმედმა, რომ მის მამას მოველაპარაკები ისე ემოქმედა, რომ მაშინვე ჩაეძინა და კარგახანს მოსვენებით ეძინა.

მე დიდხანს და მკაცრად ველაპარაკებოდი პროფესორს, ბავშვის საშინელ მდგომარეობას თვალწინ უყენებდი და ვარწმუნებდი, თუ გაუშვებ რუპერტს, კარგათ გახდება მეთქი. ემ დავნიშნავ იმ რაზმში, სადაც ბევრი ნაცნობები მყავს, იმათ ჩავაბარებ, რომ არა ევნოს-რა და როცა ნახავს რუპერტი ომის საზარელ სურათებს, თითონვე დაბრუნდება შინა მეთქი. მაგრამ პროფესორზე ტყუილათ ვხარჯავდი ჩემს მჭერ-მეტყველებას: „მე ვერ წავაქეზებ ჩემი შვილის ფანტაზიებსაო. წავიყვან ზღვის ნაპირზე, იქ გასაღდება და გაყოჩაღდებაო.

მე ველარა გავაწყე-რა. როცა წავედი ბრძოლის ველზე, იქ რუპერტი დაჭრილების მოვლაში სრულებით ვადამავიწყდა. ერთხელ ერთ მდინარის ნაპირას, როცა ჯარი გამყავდა მეორე ნაპირზედ, შემხვდა ჩემი ძველი ამხანაგი და მიამბო პროფესორისა და რუპერტის ამბავი.

„საწყალი რუპერტი სახლიდან გაიგცა სრულებით ჭკვაზე შემცდარი. დედ-მამამ ბევრი ეძებეს, მაგრამ ტყუილათ, იმისი კვალიც ვერსად იპოვეს. ამბობდენ, წყალში თუ ჩავარდაო. მე ძალიან შემაწუხა ამ ამბავმა, საშინლათ მეცოდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუპერტი, მაგრამ ომში ვის სცალიან სატირლათ და საგლოვათ, როცა თვალ-წინ უფრო საზარელი სურათებია და აი ამიტომ მეც ვერა ვგლოვობდი რუპერტს.

ექიმი გაჩუმდა.

ბავშვებმა სთხოვეს გაეგრძელებინა ამბავი.

„შემდეგ მოხდა საშინელი შემაძრწუნებელი სისხლის ღვრა მთელ ომში. ნაწილი ჩვენი ჯარისა სულ გაწყდა და მეც გამგზავნეს სხვა ექიმებთან ერთად დაჭრილების მოსავლელათ. როცა მივედი დანიშნულ ალაგას, დაუყოვნებლივ შევუდექი საქმეს. ერთ კუთხეში დაჭრილი იწვა და მეც პირ-და-პირ იმისაკენ გავწიე. იმას ორი თითი მოგლეჯილი ჰქონდა. მინდოდა შემეხვია, მაგრამ უარი მითხრა—შეხვევაზე და მთხოვდა, სხვა უფრო გაჭირვებულებისთვის მეშველნა.

— ღვთის გულისთვის, ექიმო, თავი დამანებეთ, წადით უშველეთ მედაფეს, მეთორმეტე რაზმისას. ის სრულებით ბავშვია და კვდება, თუ კიდეც არ მოკვდა. ის დილა ადრიანათ თავის ადგილზე იდგა, როცა სამხრეთ ამერიკელები დაესხნენ თავს ჩვენ რაზმს და იმან გადაარჩინა არა მარტო ხალხი, არამედ ასახელა კიდეც ყველა. სხვა დაჭრილებმაც დაადასტურეს ეს სიტყვები და მთხოვეს წავსულიყავ პატარა გმირთან. მეც იმ წამსვე წავედი და რა ვნახე: ჩალა დაგებულ ტახტზე რუპერტი იწვა. მე ის იმ წამსვე ვიცანი. მისი ყვითელი მკვდრის ფერი ამტკიცებდა, რომ მისთვის საჩქაროთ უნდა მეშველა. შუბლზე ჩამონადენ ცივ ოფლს სულ გაეფინნა იმისი ქერა კულულები.

— „ჰეი, ვინა ზლუქუნებს ბავშვებო? დავსჯი შესწყვიტა მოთხრობა ექიმმა:—მე რუპერტს დავუძახე. მან თვალები გააღილა და მაშინვე ჩიცნო.—სასოწარკვეთილებას ნუ მისცემიხარ, რუპერტ! მოვა ჩვენი ჯერიც, გავამხნევე მე ისა.

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხვედით ჩემთან, მაგრამ ველარას მიშველით.

— სულით ნუ დისცემიხარ, რუპერტ! ვუთხარი მე.

ჭრილობა სუბუქი ჰქონდა, მე იმის სისუსტე უფრო მაწუხებდა, მაგრამ შეწუხება დავმალე და ღიმილით მაგრა ხელი მოვუჭირე.

— თქვენ ნახავთ მამა ჩემს, სთხოვეთ ჩემ მაგივრათ პა-

ტიება, დამნაშავე ვარ, რომ დაუკითხავათ წამოვედი. დედა რო-
გორ დაიტანჯებოდა... მაგრამ მე არ შემეძლო არ წამოვსულ-
ლვიყავ. მე ვთხოვე, რომ გამოვეშვით... ნება არ მომცეს...
დაფი-კი სულ იძახოდა „წადი, წადი“! ეხლა მე ავასრულე ჩე-
მი მოვალეობა და ბედნიერი ვარ. თუ მოვკვდები უთხარით
მამა ჩემს, რომ ასე ყველაფერი უფრო კარგად მოეწყო...
ცოცხალი, რომ დავრჩენილიყავ, უეჭველია მამას შევაწუხებდი
ჩემი დაფით. მამა სულ იძახოდა, ეს მხოლოდ ფანტაზიაა...
მე-კი მესმოდა და ეხლაც მესმის, დაფი უკრავს: „შენ კარგად
მოიქეცი“ გესმით?

მე მხოლოდ დაჭრილების კვნესა მესმოდა. საწყალი ბავ-
შვი დაწყნარდა და ისე იწვა ცოტა ხანს. მაგრამ მერე დამი-
ჭირა ხელები და დაიკივლა.

— „დაფი უკრავს, გესმით? დაფი უკრავს, „შენ გააკეთე
შენი საქმე“ დაფი მეძახის მე, გესმით?!“ ამბობდა რუპერტი
ოდნავ გასაგონის ხმით—და გაიშვირა ხელები დაფის მოსა-
ხვევნათ.— ჩვენ გავიმარჯვებთ... ჩვენ გავანთავისუფლებთ ზან-
გებს... მოხუცი დიდედა... რობსონი... ლაშქარი... ყველა ერ-
თად... მაშინ სულ სხვას დაჰკრავს დაფი... დედა..., მამა...,
მაპატიეთ, მე არ შემეძლო სხვანაირათ მოვქცეულიყავ... ვკვდე-
ბი... მშვიდობით...

— „ეს კიდევ ვინ ზლუქუნებს, ბავშვებო, დავსჯი ხომ
გითხარით.—მრისხანედ წამოიძახა ექიმმა.

— რუპერტს გული შეუწუხდა, განაგრძო ექიმმა, მაგრამ
მე დაფზედ ბოდვა უფრო მაწუხებდა, ვიდრე გულის შეწუ-
ხება. მინამ რუპერტი გონს მოვიდოდა, ვეცადე დაფი დამე-
შალა სადმე. რუპერტმა თვალები გაახილა და როცა კარგა
გახდა, ვუთხარი:

— ერთი კვირის შემდეგ წაგიყვან სოფელში, ზღვის ნა-
პირზედ დედ-მამასთან. მერე, კარგათ რომ გახდები, წამოხვალ
შენი დაფით და დაჰკრამ გამარჯვებას.

— არა, არა, დაფი გაჩუმებულია—წაილაპარაკა ბავშვმა.

ამ დროს დაფმა, რომელიც მე ,,ატაკზე გადავახეთქე,
დაჰკრა ჯერ ნელა, მერე უფრო ხმა მაღლა:

— გესმით, გესმით, წაიჩურჩულა ბავშვმა. მე მივიხედ-მო-
ვიხედე—დაჭრილები ყველა თავის ალაგას იწვენ. შემოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალში ორი ექიმი და ოთხი იმათი თანაშემწენი იდგენ, რომელთაც გაეთავებინათ თავიანთი საქმე და ჩუენ გვიცქეროდენ.

— აი საკვირველება! გავიფიქრე, — მეც ხომ არ გადამედო რუპერტის ბოდვა მეთქი! რომ დაფის ხმასთან ერთად მომესმა შემდეგი სიტყვები:

— „წადი, წადი ყოჩაღო ბავშვო! დედა ტირილით გელის. იქ გასაღდები და ჩემი ხმა გიწინამძღვრებს გამარჯვებაში.“

— „გესმით, გესმით“ იძახოდა რუპერტი და ნელა იწევდა ლოგინიდან!

— მესმის, მესმის. ვუპასუხე მე. — შენც გაიგონე?

— წავალ, წავალ, იძახდა სიხარულით ბავშვი.

დაფი-კი ისევ უკრავდა და იმეორებდა ისევ იმ სიტყვებს.

— მე გავსაღდები და ხელმეორედ წავალ, — წაილაპარაკა ბავშვმა ნელის ხმით და თვალები დახუჭა.

— „გასაღდები“! გაისმა ისევ ის ხმა.

ნელმა ღიმილმა სახე გაუნათლა რუპერტს. სუნთქვა თანასწორეთ დაიწყო და ჩაეძინა. ოთახიდან გამოვიდა ავადმყოფების მომვლელი ქალი, იმას ხელში დაფი ეჭირა.

მე ის იყო შევყვირე: ვაშა, ვაშა, აი ჭკვიანური ოინი, მაგრამ მომაგონდა, რომ ზრდილობა მოითხოვდა ჯერ სალამი მიმეცა ქალისათვის, და თავი დაუკარი.

— ეხლა, ხომ ეს ბავშვი თქვენ გადაარჩინეთ, ვეუბნებოდი — ჩინებული აზრი მოგსვლიათ.

— მე ბევრ სახადიან ავადმყოფებთან დავდიოდი, და ყოველთვის ამნაირათ გადავარჩენდი ხოლმე. კიდევ კარგი, რომ ჩემი ხმა ვერ იცნო. მე განგებ ბოხი ხმით ვლაპარაკობდი.

— ჩინებული აზრია, როცა ბავშვმა მოითხოვოს დაფი, კიდევ გაუმეორეთ ეს სიტყვები.

რუპერტს საღამომდის სულ ეძინა, მერე გაიღვიძა, საჭმელი მოიკითხა და ისევ ჩაეძინა — მეორე დღემდისინ. ცივი ოფლი იმ საღამოთივე შეაშრა. როცა გაიღვიძა, თბილი ოფლით იყო სველი, რაც ნიშანია გამრთელებისა.

შუა ღამისას ისევ შეესმა დაფის ხმა, რომელიც თითონ მოითხოვა, მხოლოდ ეხლა სხვას ეუბნებოდა: „მე საჭირო აღარა ვარ შენთვის, იყავ კარგათ, კვლავ ხელახლათ წაგიყვან პატიოსან საქმეზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით რუპერტი დაჰყაბულდა ჩემ რჩევას, გამეგზავნა დაფი მამასთან და დამებარებინა ის შვილის წასაყვანათ.

ზღვის ჰაერმა, დედის მოვლამ და ნავით ზღვაზედ სეირნობამ რუპერტს ისე არგო, რომ ველარც-კი იცნობდით.

ერთ წელიწადზე მეტი გავიდა, მინამ ექიმები ნებას მისცემდენ წიგნები ეკითხნა. მაგრამ ეს წელიწადი ტყუილათ არ დაკარგულა რუპერტისათვის. წიგნების მაგივრათ ყურს უგდებდა თავის მამის ამხანაგ პროფესორების ლაპარაკს და ბევრს რასმესაც იძენდა.

რუპერტი მიხვდა, რომ დაფის ძახილი ავადმყოფობის მიზეზი იყო და ყოველთვის წითლდებოდა, რიცა მოაგონებდენ. ჯანით რომ გამთელდა, სწავლის ნება მისცეს, მან ამერიკულ სასწავლებელში კურსი გაათავა და მერე პარიჟის უნივერსიტეტში, მაგრამ მას არ დავიწყებია, როგორი ჩქარი ნაბიჯით დადიოდა დაფის ხმაზედ და როგორ კარგა ხანს დაფის ხმას მისდევდა. დაფი წინანდელივით ისევ თავით ეკიდა და როცა შეხედავდა ხოლმე ამ დიდედას საშობაო საჩუქარს, მოაგონდებოდა სიტყვები: „წადი, წადი პატიოსან საქმეზე“.

რუპერტი ბავშვობაში ზანგების გასანთავისუფლებლათ წავიდა და როცა გაიზარდა, გაემგზავრა აფრიკაში ლივინგსტონთან, რომ იმასთან ერთად მოესპო შონებით ვაჭრობა.

ახლა შევიტყე, რომ რუპერტი დავაჟკაცებულია და მხნეთ იტანს ყველა გაჭირვებას მოგზაურობის დროს. აი დიდედას დაფმა— რა ასწავლა!

გავათავე ამბავი და თქვენც გასწით, ყმაწვილებო, ითამაშეთ.

ეთერი რაზიკაშვილი.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან.



ფარველობითი მიმბაძველობას თევზებთ შორისაც ვხედავთ. შავ ზღვაში და აგრეთვე სხვაგანაც ცხოვრობს ძლიერ წვრილი და საკმაოდ გრძელი თევზი, რომელსაც სახელად ზღვის ნემსი ჰქვია; როცაეს თევზი (სურ. 1) გაჭიმულია მართლა ნემსს მოგვაგონებს, მაგრამ ფერით და აგრეთვე გარეგნობით-კი უფრო წაგავს წყლის შლამ - ბალახთა ღეროებს. ნემს - თევზებს გუნდ-გუნდათ ცხოვრება უყვართ, საცხოვრებლათ ისინი ირჩევენ წყლის სათავეს, საცა შლამ-ბალახი ბლომათ

სურ. 1.

არის. ასეთ ალაგას მათი შემჩნევა ერთობ ძნელია და ისინიც ადვილათ ემალებიან თ ვიანთ მტრებს, დიდროვან ონავარ თევზებს. უფრო შესანიშნავია ნემს-თევზის მეორე მონათესავე თევზი, რომლისათვისაც სახელათ მემჩვრე ზღვის ცხენი დაურქმევიათ. (სურ. 2) ეს თევზი ავსტრალიის მახლობელ ზღვაში ცხოვრობს, ტანად პატარაა, სულ ოთხი გოჯის ოდენა იქნება.



სურ. 2.

სხეული ამ საოცარი თევზისა დაფარულია ურიცხვი მოგრძო ეკლებით (ფორეჯებით), ზოგი ამ ეკლებთაგანი საკმაოდ გრძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რბილია და ტანზედ თევზს ჩვარის ვიწრო ნაფლეთ-კოწოლებივით ჰკიდია. ბინათ, მემჩვრე, ზღვის შლამ-ბალახს ირჩევს; მისი გრძელი კოწოლებიც თავისი გარეგნობით და ფერით სწორეთ რომ ამ ბალახს გვანან. რა თქმა ღნდა იმის დანახვა და გარჩევა ამ ბალახებში ადვილი არ იქნება, მეტადრე როცა ის ამ წყალ-ბალახში დასეირნობს, ან რომელიმე ზღვის მცენარეზედ კუდით არის მოჭიდებული. ამ შემთხვევაში თევზების ზნე-ჩვეულების კარგათ მცოდნე ადამიანის თვალსაც გაუჭირდებათ მისი დათვალიერება.

ამ გვარად ჩვენ განვიხილეთ ბევრი სხვა და სხვა ნაირი მოწყობილობა და იარაღები, რომელნიც ბუნებას პირუტყვთათვის მიუცია მათი არსებობის დასაცველათ და რომელთა შემწეობითაც ისინი ასე თუ ისე გაურბიან მტერთა ბრჭყალებს. აქ ჩვენ განგებ არა გვითქვამს-რა და თითქმის უყურადღებოთ დავსტოვეთ ისეთი იარაღები, რომელნიც მათ შველიან მტერთან ხელ-ჩართულ ბრძოლაში. ასეთია მაგალითად ბასრი კბილები, მწვეტიანი ეშვები, ბრჭყალები და მაგარი რქები. ზოგს შველის გამჭრიახი, შოკრს მჭვრეტელი თვალები, ზოგს მახვილი ყურთა-სმენა და ზოგს სწრაფად ალღოს აღება. ყველა ეს ჩვეულებრივი იარაღია და ამათ ყველა თქვენთაგანი კარგათ იცნობს. შევნიშნავ მხოლოდ, რომ ბევრნი ცხოველნი ხშირად საერთო, შეერთებული ძალ-ღონით უმკლავდებიან მტრებსა. საკვირველი აქ არა არის რა, რადგან ორს თანასწორის ღონის და ერთნაირი საბრძოლველი იარაღის პატრონთ—პირუტყვთ ძნელად შეხვდებით; არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვება ყოველთვის უძლიერეს არსებას რჩება. მაგრამ თუ რამდენიმე შედარებით უძალ-ღონო პირუტყვები ერთად მიიტანენ იერიშს მტრის წინააღმდეგ, ისე დაგლეჯ-დაფლეთავენ, რომ ძვალსაც კი არ დაანარჩუნებენ.

ნახირად მცხოვრებ პირუტყვთა თავდასხმას იშვიათი ონავარი მხეცი გაბედავს, მაგალითად მათზე დაცემული მგელი ბევრს ინანებს თუ გარეულ ღორების (სურ. 3) ჯოგს მიუხტება. ვაი მისი ბრალი თუ სადმე ღორმა თავისი მჭრელი ეშვები გაჭკრა. ერთ მონადირეს თავის თვალით უნახავს ასეთი შემთხვევა: თურმე ერთ ტყეში გარეულ ღორების ჯოგს მგელი მივარდნია, მტრის მოახლოვება პირველად შეუმჩნევია დარაჯათ მყოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ბებერ და გამოცდილ ტახსა, რომელმაც ხრუტუნით ეს



სურ. 3.

თანამოძმეებს აცნობა; ღორები იმ წამსვე შეიჯგუფენ, დედა-ღორებმა გოჭებსა და ბურვაკებს ალყა შემოაკრეს, ხოლო ამათ გარშემო გამაგრდენ ტახები და მტრის გამკლავებას ლამობდენ. მგელმა დიდხანს იარა—იტრიალა წრის გარშემო. მონადირემ აღარ დაუცადა და თავის გზას გაუდგა. როცა რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა, ნახა რომ ღორები არსაით ჩანდენ, ხო-



სურ. 4.

ლო მინდორზედ ეგდო მგლის ლუკმა-ლუკმად დაგლეჯილი ლეში. ამნაირად იგერებენ თავიანთ მტრებს სხვა ბევრი ცხოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც, მაგალითად კამეჩები, ვირ-მოზვრები, ბიზონები (სურ. 4) და სხვანი. რა მხრიდანაც არ მიუახლოვდეს მათ მტერი, ყველგან მას პასუხს გასცემენ გაფთრებული მოპირდაპირის ძირს დახრილი მაგარი რქები. მგლებს, დათვებს და სხვა ონავართ არა ერთხელ ჰქონიათ შემთხვევა, რომ რქების ძალ-ღონე ეგრძნოთ. ფრინველებმაც იციან საერთო ძალით მტრის მოგერება. ხმელთაშუა ზღვის პირათ ცხოვრობს ერთი ფრინველი, რომელსაც ზღვის პირული ჰქვია. ეს ფრინველი საშინელი ონავარია და ძალიან ერჩის ზღვის-მერცხლების ბუდეს. ხშირათ მერცხლები შეგროვდებიან და საერთო ძალით თავს დაესხმიან თავის ულმობელ მტერს: და მთლათ გაანადგურებენ.

როგორც ხედავთ საერთო ძალას დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ის რაც არ ძალუძს ერთ პირს, შესაძლებელი ხდება მრავალთათვის. თუ გულდადებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ კეთილ-დღეობა ყოველ ცოცხალ არსებისა და მასთანავე რასაკვირველია ადამინისაც დამოკიდებულია ერთის მეორესთან კავშირზედ, ურთიერთშორის ძმობა-მეგობრობაზე; ტყუილად კი არ არის ნათქვამი: საშოვარი თუ გსურს, ამხანაგი ნუ გშურსო. თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს რაც ჩვენ ზემოთ ცხოველების თავის დაცვის შესახებ ვთქვით, კარგათ დაუკვირდებით აგრეთვე სხვა ცხოველთა ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ცხოველს აქვს შესაფერი თავის დასაცავი იარაღი, სრულიად უმწეო და უპატრონო პირუტყვი ვგონებ არც-კი მოიძებნება დედა-მიწაზედ. საქმე იმაშია, რომ ყველა ცოცხალი არსება ზრუნავს თავის თავზედ, თავის ჩამომავლობაზე, იბრძვის თავის არსების დასაცველათ და ამ ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც უფრო ძლიერია, ან ვისაც საუკეთესო თავის დასაცავი იარაღი აბადია.

(დასასრული) ი. თ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურდის შვილი.

ლესკოვის მოთხრობა.

ერთ ქალაქში, სადაც ეს ამბავი მოხდა, სამი ქურდი სცხოვრობდა. ჩვენი ქალაქი საზოგადოდ ქურდობით იყო განთქმული და ანდაზადაც-კი იყო გადაქცეული. ამ სამმა ქურდმა ერთი მდიდარი ვაჭრის საწყობის გაქურდვა განიძრახეს. ძირს საწყობს ფანჯარა არა ჰქონდა. მარტო ზემოთ სახურავთან იყო ერთი პატარა სარკმელი. ამ სარკმელთან ასვლა შეუძლებელი იყო, მაგრამ კიდეც რომ ასულიყვენ მოზრდილი ადამიანი ვერც-კი შეეტეოდა იმ სარკმელში. ქურდებს დღე და ღამ ვერ მოესვენათ, სულ იმას ფიქრობდნენ თუ როგორ მოაწყონ ამ საწყობის გაქურდვის საქმე, რადგან იქიდამ დიდძალ სარჩოს შეიძენდნენ: საზაფხულო ტანისამოსს, ტყავს, ქუდებს, ბუმბულის ბალიშებს, ტილოს და მაუდს. ერთი სიტყვით მთელი საწყობი იატაკიდამ ჭერამდინ სულ სავსე იყო ყოველი სიკეთით. აბა გამბედავმა ქურდმა როგორ უნდა მიატოვოს ამისთანა გემრიელი ლუკმა?

ბოლოს ქურდებმა უკნაური და ძნელი გასაბედი საშუალება გამოიგონეს.

—

ერთმა უცოლშვილო ქურდმა, მეორეს ცოლშვილიანს უთხრა:—მე კარგი საშუალება გამოვიგონე: შენ ხუთი წლის ვაჟი შვილი გყავს, პატარაა და მარჯვე. ის იმ სარკმელში ადვილად შეძვრება, შენ რომ თან წამოიყვანო ყველაფერს მოვახერხებთ. დედას უთხარი, რომ ბავშვი გინდა ცისკარზე ეკლესიაში წაიყვანო, ჩვენთან მოიყვანე და საქმეს შეუდგეთ. ერთი ძირს დადგება, მეორე იმის მხრებზე და მესამე მეორეს მხრებზე. ბავშვს წელზე მაგარი თოკი მოვაბათ და საწყობში ჩაუშვათ. იმან იქ მიიხედ-მოიხედოს და რაც კარგი რამ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდეს თოკით შეჰკრას და მოგვაწოდოს. ნაპარავი სამ ნახევარ ნაწილათ გავყოთ, თითო ნაწილი ჩვენ ორს და ერთ ნახევარი შენ და შენ შვილს.

ქურდ მამას ძალიან მოეწონა ამხანაგების გამოგონილი საქმე და სიამოვნებით დასთანხმდა.

შობის წინადღით ეს მივიდა და ცოლს უთხრა: მე მინდა ცისკარზე მონასტერში წავიდე, იქ კარგი გალობა იქნება და პატარა ბიჭუნიასაც წავიყვან გალობა მოისმინოს. დედა დასთანხმდა, ბავშვი სუფთათ გამოაწყო და მამას გაატანა. მონასტრის მაგივრად თავის ამხანაგებთან წაიყვანა და სამივენი სამეკიტნოში შევიდნენ. ცოტა ლუდი და არაყი გადაჰკრეს. ბავშვი კუთხეში მიაწვინეს, რომ ცოტათი გამოეძინა. როცა კარგა შებინდდა ლიფლიფა აანთეს, წამოვიდნენ და ბავშვიც თან წამოიყვანეს. რაც განზრახვა ჰქონდათ ყველაფერი შეასრულეს კარგათ და მარჯვეთ. ბავშვი ძალიან გონიერი და მარჯვე გამოდგა. სარდაფში რომ ჩავიდა ლიფლიფა მიინათა და რაც კარგი და ლამაზი რამ იყო თოკზე აბამდა და აწოდებდა. იმოდენა ამოზიდეს რომ წაღება გაუძნელდებოდათ. ბოლოს ერთმა, რომელიც ძირს იდგა სთქვა:

— კარგი, ძმაბიჭ, კმარა მეტს ველარ ვზიდამთ. — უთხარი ბავშვს, რომ წელზე თოკი მოიბას და ამოვიყვანოთ.

მესამემ, რომელიც ორის მხრებზე იდგა, ჩასჩურჩულა ბავშვს:

— კარგი, კმარა...—წელზე მაგრა თოკი მოიბი, ხელები მოჰკიდე და ამოგიყვანთ.

ბავშვმა თოკი მოიბა და ამოსწიეს, თითქმის სარკმელამდინ ამოიყვანეს, მაგრამ უცბათ,—სიბნელეში ვერ შეამჩნიეს, რომ თოკი მეტის თრევით და აგურებზე ხახუნით გახეხილიყო, გაწყდა და ბავშვი ცარიელ სარდაფში ზედ იატაკზე დაეცა. ქურდებიც შიშისაგან შეკრთნენ და მიწაზე ჩამოცვივდნენ. ატყდა ხმაურობა, ვაჭრის ძალლებმა ეზოში საშინელი ყეფა და ღმუილი ასტეხეს. ეხლა ყველანი გამოიღვიძებდნენ, წამოცვივდებოდნენ და რასაკვირველია, ქურდებს სიკეთე არ დაეყრებოდათ.

ქურდები წამოცვივდნენ და ვინც რა მოასწრო ხელი წამოავლეს ნაქურდალს და გაიქცნენ. ვაჭრის სახლში ყველამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიღვიძა, წამოცვივდნენ აქეთ-იქით დარბოდნენ ბოლოს საწყობში შევიდნენ, ნახეს რომ იქაურობა არეულ-დარეული იყო და ბევრი საქონელიც აკლდა, იატაკზე-კი ბავშვი ეგდო და ტიროდა, ვაჭრის მოსამსახურები მიხვდნენ თუ რაში იყო საქმე და მაშინათვე სარკმელთან მიცვივდნენ. თითქმის მთელი ნაქურდალი საქონელი ქუჩაში ეყარა. ქურდებს შიშით ძალიან ცოტა წაეღოთ.

შეიქნა ერთი ალიაქოთი და ხმაურობა, არ იცოდნენ რა ექნათ, პოლიციისთვის შეეტყობინებინათ თუ თითონ გაჰკიდებოდნენ ქურდებს? ბნელაში რას დაინახამდნენ, როდესაც არც-კი იცოდნენ საით გაიქცნენ. შეიძლება ქურდებს იარაღიც ჰქონოდათ და სროლა აეტეხათ და ვინმე მოეკლათ. ჩვენ ქალაქში ქურდები ძალიან მარჯვე და გამოცდილები იყვნენ. თავიდან ქურდებსაც-კი ხდიდნენ. ვაჭარი-კი, ვისიც საქონელი მოიპარეს ძალიან ჭკვიანი, კეთილი, ღვთისნიერი კაცი იყო. თავის მოსამსახურებს უთხრა:

— თავი დაანებეთ, რა საჭიროა იმათი დაჭერა, მეტი რა გვინდა! საქონელი ხომ თითქმის ხელ-უხლებელია.

— ჰო, მართალსა ბრძანებ, უპასუხეს მოსამსახურეებმა, იმათ დასასჯელათ ღმერთმა ხომ სამაგიერო დაგვიტოვა.— ვინც ამ ბავშვს მოიკითხავს მაშასადამე ქურდიც ის იქნება.

ვაჭარმა უპასუხა:

— ბავშვი უმანკოა, რა ესმის ამას თუ რა საქმისთვის იყო აქ მოყვანილი. ამას ხელი არ ახლოთ, ავიყვანოთ, ღმერთმა გამოგვიგზავნა—უყურეთ საცოდავი, შიშით, როგორ კანკალებს. ნურაფერს ნუ ჰკითხავთ, ქრისტიანული საქციელი არ იქნება, რომ ბავშვი მამის გამცემათ გავხადოთ. ღმერთო მოწყალეო, ისიც კარგი რომ სულ არ წაიღეს. ეს ბავშვი-კი ღმერთმა მაჩუქა. იქნება სულაც მე შეირჩეს.

ყველანი გაჩუმდნენ და ბავშვს არაფერს არ ჰკითხავდნენ. იმის მოსაკითხავათ არავინ არ მოსულა და ბავშვი მართლაც ვაჭარს შერჩა. ისე ეპყრობოდა, როგორც თავის საკუთარ შვილს, შრომას და მუშაობას აჩვევდა. რადგან თითონ ვაჭარი კეთილი გულისა და სიმართლის მოყვარე იყო, ბავშვსაც ისე ზრდიდა. ბავშვი ძალიან ნიჭიერი და გონიერი გამოდგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში ყველას საყვარელი გახდა და ბოლოს ყოვლად პატიოსანი ვაჟკაცი დადგა.

ვაჭარს მარტო ერთი ქალი ჰყავდა. ეს ქალი ამ ქურდის ვაჟთან ერთად იზრდებოდა და ერთმანეთს შეეთვისნენ. ვაჭარმა უთხრა თავის ცოლს:

— ყური დამიგდე, ჩემო ცოლო, ჩვენი ქალის გათხოვების დრო დადგა და მოდი ჩვენ გაზდილზე ჯვარი გადავწეროთ.—ვინ იცის, სთქვა ვაჭარმა,— იქნება იმისთანა ვინმე გამოჩნდეს, რომ თავი კეთილ ადამიანად გვიჩვენოს და ყოვლად უსვინიდისო და საძაგელი რამ იყოს, რომ ჩვენი საყვარელი ქალი გააუბედურეს. ჩვენ შეჭედილ ხატს ჩვენ უფრო კარგად არ ვიცნობთ?

ცოლი დათანხმდა, ჯვარი გადასწერეს. ახლათ დაქორწილებულნი სიბერემდინ ბედნიერათ სცხოვრობდნენ. ყველანი პატივს სცემდნენ ქურდის შვილს, ნაფიც მსაჯულათაც ამოირჩიეს. ერთხელ, სასამართლოში, იმის იქ ყოფნის დროს, ვიღაც ქურდს ასამართლებდნენ. ნაფიცი მსაჯული სულ კანკალმა აიტანა, ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა. ბოლოს თვალები დახუჭა და ღაპა-ღუპით ცრემლები გადმოსცვივდა და ხმა-მაღლა ზლუქუნი დაიწყო.

თავმჯდომარემ ჰკითხა:

— რა დაგემართათ?

მან უპასუხა.

— გამანთავისუფლეთ,—მე ამ ადამიანის გასამართლება არ შემიძლია.

— რატომ? ჰკითხა თავმჯდომარემ. ეგ ხომ საზოგადო კანონია, რომ მართალი დამნაშავეს ასამართლებს.

— აი საქმეც ეგ არის, რომ მე თითონ უდანაშაულო არა ვარ, მე თითონ დაუსჯელი ქურდი ვარ. ნება მიბოძეთ, რომ მთელ აქ დამსწრეს წინაშე, ჩემი დანაშაულობა გამოვამჟღავნო.

რადგან ძალიან აღელვებული იყო ნება არ მისცეს ლაპარაკისა. შემდეგ-კი ბევრ პატივცემულ პირებს უამბო თავისი თავგადასავალი: როგორ ქურდებმა თოკით საქონლის საწყობში ჩაუშვეს, როგორ ქურდობაში მოასწრეს, მერე აპატიეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის პატრონი როგორც შვილს ისე ზრდიდა. ყველანი გულ-მოდგინეთ უსმენდნენ იმის გულწრფელ აღსარებას და ვერც ერთმა ვერ გაბედა ესაყვედურნა და თავისი კეთილი და პატიოსანი საქციელით და ბოლომდის პატივისცემა სიყვარული დაიმსახურა.

ეკ. მესხისა.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბიას ნაამბობი.

ჩემი ძმის წერილი.

ამ დღეს სოფლელები იყვნენ ჩემთან და შენ გე-მადრიელებოდნენ... არ ვიცი კი რა გაგიკეთებია ამათთვის, მაგრამ ეტყობა-კი რომ შენი ქცევა და შენი დამოკიდებულობა ამ საცოდავ ხალხთან უკვალოთ არა რჩება... ეს არგი ნიშანია, ჩემო კარგო! ეს ამორჩეული გზა —ბრწყინვალე გზაა, ნუ გადუხვევ ამ ჭეშმარიტ გზას; მხოლოთ შენს მისწრაფებას შეუფართოე შენი ზნეობითი და გონებითი ძალები—. გააკეთე ის, რის გაკეთებასაც შესძლებს ჯერეთ შენი გაღფურჩქვნელი გონება, შენი სათნოიანი პატარა გული: ფუტკარი პაწაწინაა, მაგრამ დიდი სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისათვის; შენი ამხანაგი უგრეხელიძე პატარა იყო, მაგრამ თავისი ტოლი არსება გადაარჩინა გაძლიერებულ ცეცხლს. შენც შეგიძლიან შენი გონებისა და გულის შესაფერი მუშაობა გასწიო სოფელში. ეხოლოთ ამასა გთხოვ თავში ნუ ჩაიდებ, რომ შენ ყველაფერი შეგიძლია: ასწონე შენი ძალა და ლონე და შესაფერ საქმეებს მიჰყე ხელი... დიდი საქმის გაკეთებას, დიდი მომზადება უნდა, დიდი ძალა, დიდი გონება! გახსოვდეს, რომ შენ ჯერ ერთიც გაკლია და მეორეც.. მოამზადე ჯერ შენ ეს ორი ძალა და შემდეგ მომზადებული გაუმკლავდი ცხოვრების ოღრო-ჩოღროებს... უბედური ის კი არ არის, რომელიც შენობისათვის პაწაწინა ქვებსა ჰზიდავს, ის არის უბედურიც და უგუნურიც, რომელიც თავის გამოსაჩენათ დიდს ლოდებს ჰკიდებს ხელს—წელსაც იწყვეტავს და საქმესაც უკან აყენებს!.. სკოლის გახსნის განძრახვა და შენი მისი ხელ-მძღვანელობა—შენთვის დიდი ლოდია, ჩემო კარგო!.. საკმარისი არ არის, რომ შენ წიგნი იცი, წერა-კითხვა კარგათა გაქვს შეთვისებული, ცოტა არა ცოდნაცა გაქვს, საქმე გადაცემაა, ხერხი გადაცემისა, წესი და რიგი სკოლისა!.. ანბანის სწავლება ისეთი ადვილი არ არის, როგორც შენა გგონია! ამ საქმისთვისაც ბევრი რამ უნდა იცოდეს მასწავლებელმა და ყველაზე უწინ კი ბავშვის ბუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, მისი სულის ავი და კარგი, უნდა იცოდეს წესები გარდა-ცემისა და როგორც პოეტი იგიც უნდა ზეცით მოვლენილი იყვეს!. შენი უფროსიც კი ერიდება ამ საქმის ხელ-მძღვანელობას და აბარებს სხვას, რომელსაც შესწევს უფრო დიდი ძალა ამ დიდედებული საქმის საწარმოებლათ; ერთს რომ ასწავლო, ეს არაფერია, მაგრამ ბევრის სწავლება კი შენი საქმე არ არის ჯერ-ჯერობით, გული გაგიტყდება, სულით დაეცემი და ყოველ დაწყებულ საქმეს სათავეშივე ჩაჰკლავ და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ყველა საზოგადო საქმეს გვერდს აუქცევ!. ამისთვისაც ძალიან მომეწონა, რომ შენი ძალა აგიწონ-დაგიწონია, შენი განძრახვანი კრიტიკის საცერში გაგიტარებია და ეს დიადი საქმე, შენთვის მიუწდომელი საქმე არ დაგიწყვია და ხალხის თვალში ნდობა არ დაგიკარგავს!

მეორე შენი განძრახვა, რომ შენ ხალხს წიგნები გინდა უკითხო, ებაასო სხვა და სხვა ბუნების მოვლინებეებზე, რომ ხალხური ნაწარმოები გინდა შეჰკრიფო—ესენი კი ძალიან მოსაწონი საქმეა და ამისთვის ძალაც შეგწევს და აი რატომ: შენ ძალიან მოხდენილათ კითხულობ, მოხდენილათ ლაპარაკობ და ეს ორი მხარე თავდებია იმისი, რომ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენ მსმენელებზე, შეაყვარებ და შეატკბობ ჩვენს დიდებულ მწერლებს და ხალხს ცოტა-ხნობით მაინც შეუყენებ სულის ტკივილებს და სწავლის სურვილსაც გაუღვიძებ. მეორე შენი საქმე ხომ ჩინებულია და ჩინებული! ხალხური ნაწარმოების ერთათ თავის მოყრა, შეგროვება დიდი მოღვაწეობაა, ჩემო კარგო! ხალხური ნაწარმოები—ეს ხალხის ფილოსოფიაა, მისი ცხოვრების პანორამა, იგი ამ ნაწარმოებში ჰხატავს თავის ავსა და კარგს. იგი როცა დაღონებულია—„ბინდს“ ადარებს თავის სოფელს და მღერის იმას, რაც გამოჰხატავს მის სულის მდგომარეობას და გამოჰხატავს მოხდენილათ, ძალოვანათ, რომ მსმენელებიც დააღონოს, გული აუტკივოს, რათა მწუხარებაში მაინც თანამოზიარე იპოვოს, რომ ცოტათი მაინც შეიმსუბუქოს თავისი აუტანელი ყოფა, მწარე ფიქრებით მოცული არსება. ხომ გახსოვს თანდილაანთ სოლომონმა რაც გითხრა: „ლექსი, შვილო, გულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხია, მიჰგვის, მოჰგვის ამ სავერანო გულს და მერე იგი ისევ ვარმითა და მწუხარებით იმსებაო“... რა სიმართლეა აქ გაკვანძული, რა დიდი ფილოსოფიაა!! და აი ყველა ამას ერთათ თავის მოყრა უნდა, შეკრება, ცოცხლათ აკვანძა და შენი მოღვაწეობა ამ საქმეში — დიდი მოღვაწეობა იქნება, დიდი ნაბიჯი საზოგადო ასპარეზზე და სულითა და გულით ვეგებები ამ შენს ნაბიჯს, ამ შენს პირველ ცდას.

ეს ხომ ასეა, მაგრამ ორ რამეში-კი არ შემიძლიან დაგეთანხმო შენ! საბა ვეფხვაძემ ქურდობა დაგაბრალა და შენ მაშინათვე ღრიალი მორთე, პატარა ბავშვივით ცრემლები გადმოაფრქვიე... ეს ხომ ლაჩრობაა, ეს წინდაუხედელობაა შენს მხრივ! ეხლავე თუ არ შეაჩვევ შენს ცხოვრებას, შენს ყოფას ცხოვრების უკეთესობასთან ბრძოლას, მუდამ ჟამს დამარცხებული დარჩები! ათასჯერ მითქვამს შენთვის და ახლაც გიმეორებ, რომ ცხოვრება—ბრძოლაა, ჭიდილია და გამარჯვებული მხოლოთ ისა რჩება ამ ბრძოლაში, ვისაც დიდი ხასიათი მოსდევს, ვინც ამ ბრძოლისთვის მომზადებულია!.. გადაშალე კაცობრიობის ისტორიის წიგნი, ფურ-მოდგინეთ გადაიკითხე დიდებული კაცების ცხოვრება და ბევრს საგულისხმიეროს ამოიკითხავ აქ. უმეტესობამ ბრძოლაში დალია სული, მაგრამ მითი ნაღვაწევი და მითი ნამოქმედარი კაცობრიობის ისტორიაშია ჩაწერილი... ესენიც ხანდახან ტიროდნენ და ხან-კი იცინოდნენ: მხოლოთ ტიროდნენ თავის გასამართლებლათ კი არა, როგორც შენ, არამედ სტიროდნენ და სწუხდნენ იმაზედ, რომ ხალხი უკეთესობისაკენ მიისწრაფვიდა; და თუ იცინოდნენ, იცინოდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ წუნი დაედოთ ამ უკეთესობისათვის, აეტოკათ მითი გული, გამოეწვიათ საბრძოლველათ და მედგარი ბრძოლით ბნელი ნათლათ გადაექციათ... შენ-კი დაბრალებაზე მოჰყვები ხოლმე ტირილს და ამ ტირილით გინდა თანაგრძნობა გამოიწვიო და ვისმე თავი შეაბრალო!.. და აკი შეგიბრალეს კიდეცა—სოლომ და მღვდელმა... ეს ლაჩრობაა, ჩემო კარგო, ეს ხის იარაღით ბრძოლა, ბრძოლა შენთვისაც გამოუსადეგარი და არც სხვისთვის საშველი! ეს ერთი შენი ლაჩრობაა და მეორე ხომ უფრო უარესი—საცინელი და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირელიც: შენ ვერ შესძელი ბინდისას გაგვევლო ის გზა, რა გზაც გლეხების წარმოდგენით ჯოჯოხეთის გზაა, სადაც ალეგბი დათერიშობენ, ავსულებს ფერხული გაუბიათ!.. განა შენ არ გახსოვს—რამდენჯერ მე და შენ ერთათ გაგვივლია ეს გზა, უფრო გვიან, უფრო ბნელ ღამეში, მაგრამ არც ერთხელ—არც ერთს ავ სულს ჩვენთვის გზა არ გადაუჭრია, არც ერთი ავი სული ჩვენ თვალს არ შეხვედრია!.. და რაღა ეხლა აგიტყდა ეს ში'ში, როდესაც ცოტათ თუ ბევრათ სწავლითა და ცოდნით შეიარაღებულხარ, ცრუ-მორწმუნეობასთან საბრძოლველათ მომზადებული. კიდევ კარგი, რომ ყველა ეს არავის უამბე და უფრო ძლიერათ არ მოჰფინე ხალხში ცრუ-მორწმუნოების ნისლი.. კიდევ კარგი, რომ შენი ლაჩრობის მოწამე მხოლოთ შენი „კვირტა“ ცხენი იყო, უსიტყვო და უენო, მაგრამ ამასთანავე ჭკვიანი და შემბრალებელი, რომ მან შეგიცოდა და უკანვე დაგაბრუნა გზიდან და მით უფრო უარესი სირცხვილისაგან დაგიხსნა!.. ეს ცუდი ნიშნებია, ჩემო კარგო და ამ წერილის მიზანია, რომ აგაცდინო ყველა ამას და შენი სათნოიანი გული გავამხნეო... ორი კვირის შემდეგ მე და შენი უფროსი ვაპირებთ სოფელში მოსვლას და უფრო დაბეჯითებით მოგელაპარაკებით მანდ.

შენი ძმა იასონი.

ალექ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი.

(ბერლინისა)

მიწის პატრონები.

ამდენათ უფრო მეტათ ვითარდებოდა მრეწველობა ქალაქ ადგილას, იმდენათ უფრო მნიშვნელობა ეძლეოდათ სიმდიდრის მქონეს. ხელოსანი თავდა-პირველათ მუშაობდა ან კერძო შეკვეთით და ან საკუთრივ თავის მახლობელ ბაზრისთვის. მაგრამ საშუალო საუკუნოების დამლევს და შემდეგაც აღებ-მიცემობა ისე უზომოთ გავრცელდა ევროპის უმთავრეს ქალაქებში, რომ საქონელი გაცილებით შორს გაჰქონდათ გასაყიდათ იმ ადგილებიდან, სადაც ნაწარმოები კეთდებოდა. ხელოსანი ვერ გაჰყვებოდა თავის ნაწარმოებს და საქონლის გასაღება ჩავარდა დიდ ვაჭრების ხელში. ისინი თავთავიანთ ქვეყნებში წვრილ. მრეწველებს უკვეთავდენ საქონელს, აძლევდენ მასალას და მერე ამ ნაწარმოებს დიდი მოგებით, უცხო ქვეყნებში ასაღებდენ. ამ გვარათ ხელოსნები თავიანთ თავისუფლებას ჰკარგავდენ და ვაჭარ-მსყიდველთა მუშებათ ხდებოდენ.

მარჯვე ვაჭარ-მსყიდველები, რომ უფრო მეტი სარგებლობა ენახათ, უბრალო სოფლის ხელოსნებს უკვეთავდენ საქმეებს და ნამუშავარში ცოტა ფულს აძლევდენ. ამიტომაც მეთექვსმეტე საუკუნეში ქალაქებში დიდ-ძალი ხელოსნები დახეტიალობდენ უსაქმოთ, მშიერნი და ტიტველნი.

მდიდარი ვაჭარ-მსყიდველები იგონებდენ სულ ახალ-ახალ საშუალებას, რომ საქონლის ნაწარმოები რაც შეიძლება გაიაფებინათ. ასე ჩვიდმეტ-თვრამეტ საუკუნეებში განიძრახეს შემოღება ახალი სამრეწველოსი, რომელსაც ეძახდენ ხელთ-საქმარს (მანუფაქტორიას). ვაჭარ-მსყიდველები თავს უყრიდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გახდა ვაჭარი ხალხი მიწის პატრონებათ. ამათ თავიანთი მოღვაწეობა მთელ დედამიწის ზურგზე გაავრცელეს და თავიანთი სავაჭროთი მოფინეს მთელი ქვეყნიერება.

დასკვნა.

რა მოუტანა ქვეყანას ვაჭარმა.

ვაჭარმა ქვეყანას ბევრი ბოროტებაც მოუტანა და ბევრი სიკეთეც! ყველა საუკუნოებში ვაჭრის მიზანი გამდიდრება იყო,—და ამ მიზნისთვის ყველა საშუალებას ხმარობდა. ამიტომაც ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი კაცი დაიღუპა და ბევრი მწუხარება მოეფინა დედამიწას, სანამ ვაჭრობა სამართლიან გზას გაიგნებდა. მარტო ფინიკელი ვაჭრები-კი არ მისდევდენ ცარცვა-გლეჯას და ავაზაკობას, უფრო მათზე განვითარებულნი ევროპიელნი არ შედრკებოდენ ბოროტობის ჩადენაში და შორეულ სავაჭრო ახალშენებში არ ზოგავდენ არავის. ,,უბედურებმა თავიანთი სისხლით ჩაიგდეს ხელში ვაჭრობითი უფლება.“ ამბობს ერთი მწერალი ინდოეთის მკვიდრთა მცხოვრებლებზე, რომელნიც დაეპყრათ, როგორც ფულის მომბოჭავნი. ,,ამათ საუკეთესო ნაწილი დედამიწისა გაანადგურეს და მიწასთან გაასწორეს, რომ მარგალიტი და პილპილი გაეტანათ სავაჭროთ.

ერთი ევროპიელი ხალხი მეორეს მკაცრობაში ეჯიბრებოდა. ერთმა ინგლისელების ვაჭართა კავშირმა, რომელსაც უფლება აეღო სრული ვაჭრობისა, რომ მეტი მოგება ეშოვა ინდოეთში შიმშილობა ჩამოაგდო და ამის წყალობით მილიონზე მეტი ინდოელები გაწყვიტა. სხვა ევროპიელებიც, რომელნიც აღმოსავლეთში ფულების მოსახვეჭათ მიდიოდენ, უნდა სვინიდისზე ხელი აეღოთ.

თვით ევროპაშიაც, რომ ვაჭრობით მეტი სარგებლობა ენახათ—დიდძალ სისხლს ღვრიდენ. თვალი რომ გადავავლოთ ძველ დროის ომიანობას, რომლის მიზეზით ხალხი იღუპებოდა, უმეტესათ ომი ვაჭარი ხალხის სასარგებლო იყო.

როგორც ვხედავთ ვაჭრის გაუმაძღრობამ ბევრი ვაი-ვაგლახი მოფინა დედა-მიწას, მაგრამ ისტორიის წინაშე მათ დიდი ღვაწლიც მიუძღვით. მათი წყალობით სხვა და სხვა მხრის ხალხი ერთმანერთს დაუახლოვდა და სწავლა-განვითარება მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვარი, ჭოროხი და რიონი

მგზავრის დღიურიდან.

II.

მზის მაგივრად არარატის მთა და ნოეს კიდობანი.

ხარი-პარია ვარსკვლავი (ქარვანყრანი) საამოდ ღადღადებდა, მე და დანიელამ თითო ჯამი ცხელი რძე გიახელით „პრიკუსკით“ და მთის მწვერვალისკენ გზას გაუდექით. ამ ალაგას მთის კალთა დაცემული ვაკეა 6000 ფუტზე უმაღლესი.

მტრედის ფრად ინათლა და მერე-კი ქარმა საიდღანაც მორეკა მთელი ქარავანი ნისლისა და ღრუბლებისა. ნამძინარევს დილის სუსხმა საკმაოდ მაგრძნობინა, არა სციოდა მხოლოდ ჩემს ცხენს და მის პატრონს ქურთს, რომელიც წინ მიმიძღოდა... მაგრამ, დალოცოს შავო ნაბადო შენი მომთელის, შემკერლის, მარჯვენა!—ისე გავეხვიე, როგორც ბალღი დედის უბეში.

— აბა ისრაილო, რას გაჩუმებულხარ! იქნება მემდღრი რო ამ სისხამ დილა გზას გაგიყენე? ხო არა გცივა?

— არა რჯულის მადლმა... სიარულში განა კაცს შესცივა...

— მართალი ხარ დანიელ; ხახუნი, გლესვა, და ყოველი გვარი მოძრაობა უეჭველად სითბოს აჩენს. სითბოს-კი არა—ცეცხლსაც გააჩენს. ამბობენ, დანიელ, პირველად ცეცხლი ველურმა ხალხმა გააჩინაო და იცი როგორ, თურმე აიღეს ფიჭვის ხის ორი ნაჭერი და ერთი ერთმანერთს იმდენ ხანს უსვეს, უხახუნეს ვიდრე ცეცხლის ალი არ გამოჩნდაო.—ეგ რათ გინდა,—აბა ურმის თვლის ღერძს საპონს ნუ წაუსმენ,—იჭრიალებს, იჭრიალებს და აინთება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბატონო, ეგ მართალი გახლავს, ამ თათრების ურმის ჭრიალს თუ ათ ვერსზე გაიგონებს კაცი...

— ჰო და, დანიელ, ეგ ყოველივე ცხოვრების კანონია. თვით ხიცოცხლე რაღაა? სიცოცხლეც სხვა-კი არაფერია, მოძრაობაა, ცხოვრების მოვლენაა. აი ეხლა რო მოძრაობ, ფეხით სიარულის დროს, შენი სხეული მეტს მუშაობაშია, შენს სისხლში ამ დროს მეტი მჟავბადი იწვის, ანუ სწვამს ნახშირს; ამიტომაც ჩემზე მეტს სითბოს აჩენ.

— იცი რა მოგახსენო! ჩემი რჯულის მადლმა ყველაფერი ღვთით არი...

— მერე ვინ ამბობს, დანიელ, რომ ღვთით არ არი!? მაშ ეს მსჯელობა, ჭკუა-გონება, მეტყველება განა ღვთით არ არი?! ყოველივე ეს ღმერთმა მოგვანიჭა სწავლა-მეცნიერებისათვის, განვითარებისათვის... „იყავით მეცნიერ ვით მამა თქვენი ზეცისაო“... ღმერთს რო ადამიანისთვის აზროვნების, კვლევა-ძიების უნარი არ მიეცა — აქამომდე პირუტყვის მდგომარეობაში იქნებოდა... ადამიანის გონება ერთ წერტილზე ვერ ჩერდება, ვერა და ვერა, მარად ჟამს კვლევა-ძიებაშია, სწავლაშია, მოუსვენრობაშია... აგერ ახლა კიდე ლამობს ჰაერშიაც ისე იმოგზაუროს, როგორც წყალზე და ხმელეთზე — უნდა ჰაერში ისე ინავარდოს, როგორც ფრინველმა...

— მართალი ბრძანებაა, იმ დღეს არტაანში რო გახლდით, ყავახანაში წაიკითხეს გაზეთში, მაგრამ ასე მოგახსენებენ ეგ ყველა ეშმაკეული უნდა იყოსო...

— შენ ერთი ე მაგ ქურთს დაუთათრულე, ჯერ მთის წვერზე აგვიყვანოს და წყაროზე-კი მერეც ჩავალთ.. თუმცა ღრუბლიანი დილა დაგვიდგა, მაგრამ ნათქვამია „ცდა ბედის მონახევრეაო“... იქნება მზის ამოსვლას ველარ შევესწროთ, აგერ მეშვიდე საათია, მაგრამ...

— ღმერთმანი, ბატონო, დაიღლები, ეს ქურთი მოგახსენებთ, ამას ზეით ცხენის გზა აღარც-კი არისო და აბა ამ სიმაღლე კლდეებზე როგორ უნდა ავფოფხდეთ.

— ავფოფხდეთ-კი არა, დანიელ, ჯიხვივით ავირბენთ...

— მართლაც რო ძნელია ცხენით სიარული... დეე ერთი აქ დარჩეს, ცხენი აძოოს და მე და შენ-კი... შენ მე მომყე, დანიელ... ჰო და აი ასე... აბა ცოტაც ამ კლდეს ავცდეთ და იქ-კი მგლის ნავალია, რას ამბობ დანიელ, მზე იქით იყოს, ამ 8000 ფუტის სიმაღლიდან მთელს ქვეყანას, ოთხსავ კუთხივ რო გადაჰხედავ, მთელ სიცოცხლეთ ღირს... აბა ჰო... ნუ გეშინიან...

— რჯულის მადლმა არ მეშინია, მაგრამ...

— ახლა რაღა.. ავედით კიდეც... შე კაი კაცო ამ ტახტს ხედავ, თითქო განგებ ჩვენთვის მოუვაკებიათო... იცი, კუდიანობის ღამეს ფერხულს აქ ჩაბამენ ხოლმე... ჰა დანიელ, შენ რას იტყვი? შენ ხო გწამს არა წმიდა სული?...

— დამაცათ ერთი ღმერთი გადღეგრძელებდეს ე... სული მოვიბრუნო...

— გავიხედოთ, დანიელ, ვიშ, რა მშვენიერი გადასახედია! —აგერ აქეთ, დასავლეთისკენ, შავი ზღვა ღელავს, ტრაპიზონია, ჩვენ წინ აჭარა—ლაზისტანია, აგერ სამხრეთისკენ ბაიბურთი, არზრუმია, ჩრდილოეთისკენ ხედავ ბუმბერაზ კავკასიონის მთა-გრეხილს... მდევივით რო მიწოლილა ორ ზღვა შუა... აი რა ახლოს სჩანს თქვენი ნოეს არარატიც... იცი, დანიელ, ამ ჩამოთვლილ საზღვრებში ოდესღაც ერულის ძრიელებით ჰყვაოდა ჩემი სამშობლო ქვეყანა, საქართველო...

— რჯულის მადლმა არარატი ჩვენია, ბატონო.

— ფეშქეშ, დანიელ, შენთვის მითავაზებია...

— არა და, არარატს რა თავმომწონეთ ყელი მოუღერებია... მოიცა, დანიელ, ერთი დურბინდით გავსინჯოთ. ვიშ რა მშვენიერებაა.. ხედავ, დანიელ, როგორი ბუმბერაზი დარაჯობს რუსეთის, სპარსეთის და ოსმალეთის საზღვრებს...

— ჩემი რჯულის მადლმა ე... ნოე მანდ გადარჩა წარღვნას... მეც მათხოვე ერთი ეგ დურბინდი...

— მოიცა დანიელ... გინდა ი ნოეს კიდობანსაც დაგანახვებ... მაგრამ არა—ცოდო ხარ, აჰა ახლა შენ გაიხედე... ხედავ დანიელ?...

— ვხედამ, რჯულის მადლმა კარგათ ვხედავ...

— ჰო და, დანიელ, აი ეგ უშველებელი ორივე მთა, დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი და პატარა არარატი, ვულკანის ნამუშავარია... ოდესღაც, ვინ იცის რამდენ ათას საუკუნეს წინეთ, მიწის გულიდან ამოუხეთქია ცეცხლს, უგრიალნია დაგუბებულ გაზს და ორთქლს ამოუსროლნია აუარებელი გავარვარებული ლაფი (ლავა) და ვინ იცის იქნება რო ყოველ წლივაც ამოქუხდა, მუშაობდა,— თუმცა-კი გამოკვლეულია, რომ არც ერთი ეხლანდელი ვულკანი წესიერათ ყოველ წლივათ არ მუშაობს. ვულკანები დედამიწის სასულეები არიან—როცა ბოლმა მოადგება, სული შეეხუთება, მაშინ ამოისლოკინებს, ამოიქშინავს...

— კაი, ბატონო ღმერთი გადღეგრძელებდეს ..

— ჰო და, დანიელ, აბა იანგარიშე რამდენი საუკუნე დასჭირდებოდა არარატის მთის ოდენას აშენებას—რიგი ამოხეთქდა, ეს რო გაცივდებოდა, ახლა კიდე თავს ესხმოდა ადუღებული ლაფი — ჯერ თითონ ლავას გაციებას ზოგჯერ ასი წელიწადი დრო სჭირდება. მეცნიერმა გუმბოლტმა, ამერიკაში მოგზაურობის დროს, 70 წლის ამოხეთქილ ლავაზე, პაპიროსი მოუკიდა.

— მოგეხსენებათ, ბატონო, რო ქვეყნის შექმნიდან მოსეს დებულებით 5670 წელი ითვლება...

— არა ჩემო დანიელ, „ფიცი მწამს და ბოლო-კი მაკვირვებსო“... ე მაგრე მცირე ხანში 16916 ფუტის სიმაღლე მთა ვერ აშენდებოდა. გაცივებით-კი სჩანს დიდი ხნის გაცივებულია, რადგან დღეს, აგერ ძირს კალთებზე ბამბა და ბრინჯი მოჰყავთ, ხარობს. აგრეთვე ყოველნაირი ხილის მშვენიერი ბაღებია გადაჭიმული და ვენახებიც ბლომათაა. ამათ ზევით ატეხილია ფოთლიანი ტყე, მეტადრე ბევრი იცის არყი, რომელიც თავის თეთრი ტანით (კანით) ამშვენებს მიდამოს, ტყის ზემოდ ბუჩქნარი იწყება და მის უფრო ზემოთ ხშირი, ალპიური ბალახეულობა ასდევს, ვიდრე თოვლის ქობა დაიწყებოდეს.

— რჯულის მადლმა სასარგებლო მთა ყოფილა... მაგ საბალახო ადგილებში რამდენ საქონელს დაასუქებენ. . ჰაი გიდი ჰა!...

— აგერ როგორც ხედავ ორივე მთის წვერი (კონუსები) შაქრის თავებს რო გვანან, უშველებელი უღლით არიან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებული, ეგ იმას ამტკიცებს, რომ ორგან წარმოობდა მუშაობა, ორგან არის ამოხეთქილი. ძართლაც და პატარა არარატი 4000 ფუტით დაბალია თავის უფროს ძმაზე.

— ბატონო, და წარღვნა როცა იყო ხო სულ მთლად დაჰფარა მთელი ქვეყანა... ალბად არარატიც მაშინ ჩააქრო წყალმა და გააცია კიდეც.

— შენ, ჩემო დანიელ, როგორც ვხედავ ვერ წარმოგიდგენია ვულკანის ძალა. აი მე შენ რა გითხრა. მაგ მთის ჩრდილოეთით უშველებელი ნაპრალია კლდისა, რომელიც ვულკანს გაუხეთქია.—საშინელი ღრმა ღელეა. ამ ადგილს სომხები წმ. იაკობის ღელეს უძახიან. ჰო და 1840 წელში ინძრა მანდ დედა-მიწა, ამოხეთქა გახურებულმა ლავამ, ცეცხლის ტალახმა, და თვით მონასტერი წმ. იაკობისა და მის ახლო მდებარე სოფელი არხური სულ მთლად წალეკა და გახურებულმა ლაფმა დამარხა.

— ეგ, ბატონო, რისხვაა ღვთისა და სხვა არაფერი...

— მოიცა დანიელ, მომე ეგ დურბინდი... ახლა უფრო რა მშვენივრად სჩანს მზეზე... გამოცდილი კაცები ამბობენ, რომ არარატი 200 ვერსის სიშორიდან სჩანსო, ამას იმით ხსნიან, რომ არარატი განმარტოებული, ყელ-მოღერებული ობლად სდგას თოვლის სარუხიანი ქუდით. თანაც ჰაერის სიმჭვირვალე და ლაჟვარდი მოწმენდილი ცა თვალს ღადვილებს ამ ბუმბერაზის დანახვას, თოვლის ქობაც თურმე იმიტომ იწყება ძრიელ მაღლაო, რომ იქ თოვლი ნაკლებ მოდის და მზის სხივები-კი ყოველ მხრიდან უდგებიან, ირგვლივ ძალზე აცხუნებენ...

— რჯულის მადლმა, ე. ი. ნოეს კიდობანი მაგ თოვლში თუა გაყინული ..

— იცი, დანიელ, არარატს სომხები ჩემულობენ—მასისს ეძახიან და ძრიელ წმიდა ადგილათაც მიაჩნიათ. ჰო და სომხური გადმოცემა სუფევს, რომ წმ. იაკობმა, ლოცვისა და მარხულობის შემდეგ რამდენჯერმე სცადა მასისზე ასვლა, უნდოდა ენახა ნოეს კიდობანი, მაგრამ მთის შუა წელამდე ვერც-კი უწევდა ხოლმეო... ერთხელაც ღმერთმა უსმინა ვედრება, - გამოეცხადა ანგელოზი და კიდობნის ფიცრის პატარა

ნატეხი გადასცა: „აი ეს იყოს შენი ნეგეშიო, ხოლო მთის მწვერვალ ზე ამოსვლას და კიდობნის ნახვას ადამიანის ძეკვერ ელირსებაო“...

— რჯულის მადლმა—ე, ეგ მართალია. როგორ შეიძლება ადამიანის ფეხი მაგ წმიდა ადგილას მოხვდეს და ნოეს კიდობანს ხელი შეახოს...

— ეგ, ჩემო დანიელ, რაც უწინ შეუძლებელი იყო, ეხლა მეცნიერებისთვის ადვილი გახდა, უწინ ვიდრე მთის წვერს უწევდი, ყოველ კლდიდან თითო ეშმაკი მოგელანდებოდა... ახლა-კი მაგ ზღაპრებით ველარავის მოაღორებ... და თუ ძრიელ გააჯავრებ—ახლა ავლენ კი არა... აფრინდებიან... ჰო და ყველაზე პირველად 1829 წელს არარატზე აკადემიკი პარროტი ავიჯა ფეოდოროვის თანახლებით. მას შემდეგ მეცნიერნი უფრო წახალისდენ. 1835 წ. არარატზე იყო სპასკი—ავტონომოვი; 1845 წ. აკადემიკი აბიხი; 1850 წ. გენერალი ხოდზკო და ხანიკოვი, ხოლო უკანასკნელათ 1854 წ. სწავლული მორიკი ავიდა. მეტადრე ბოლოს დროს ამ სამმა მეცნიერმა ზედ მწვერვალზე ბევრნაირი ფიზიკური იარაღები დასტოვეს, მაგალითად სიცივის საზომი, სპირტის ტერმომეტრები და სხვ...

— ე, ბატონო, და კიდობანი-კი ვერა ნახეს...

— რას ამბობ, დანიელ, განა კიდობნის დარდი ჰქონდათ, ეგენი მეცნიერულის მიზნით ადიოდენ. ვაი რო დრო არა მაქვს, თორე მე წაგიკითხავდი, როგორ გენერალი ხოდზკო ასწერს არარატზე ასვლას. ახლა-კი ჩავიდეთ, დანიელ, ჩვენს ქურთს მივხედოთ, თორე გაგვეპარება. ი ხურჯინი არ დამიკარგოს, მე უფრო ის მაწუხებს—წიგნებია შიგ, ქაღალდები, რუქა...

— არა, ბატონო... მაგას როგორ იზამს... თუმცა ურჯულოა, მაგრამ პატიოსანი ხალხია...

— აბა ჩემო დანიელ, თითქოს ნაკითხი კაცი ხარ და შენც-კი სცდები. ქურთები ურჯულონი არ არიან. ხო იცი რო მაჰმადის რჯულისანი არიან და მაშასადამე იმავე ჭეშმარიტს ღმერთს სცემენ თაყვანს, რომელსაც თქვენ ისრაილები და ჩვენც ყველა ქრისტიანები... მეტადრე თქვენთან, ებრაელებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ძრიელ ახლო დგანან რჯულით, რადგან თქვენ აღიარებთ მხოლოდ ეღოვას და მაგათაც სწამთ მხოლოთ იგივე ერთი ღმერთი, ჩვენ-კი სამებას ვაღიარებთ.

— არა, რჯულის მადლმა, მაგრე არ არი...

— ადე წავიდეთ! არა-კი არა მაგრეა... ღორის ხორცს არც ეგენი სჭამენ და ბევრი რამ საერთო კიდევ გაქვთ... აბა ჰო... ადე წავიდეთ... შე კაი კაცო აქამდე ამოსვლა არ გინდოდა, და ახლა ჩასვლა!?..

— რჯულის მადლმა, მე იმის ჯავრი ჩამყვა, ი კიდობნის ამბავი რო არ მიამბე..

— რომელი კიდობნისა? თქვენ ორი კიდობანი გქონდათ: ერთი იყო კიდობანი აღთქმისა, რომელშიაც ათ მცნებას ქვის ფიცარზე დაწერილს ინახავდით და მეორეც იყო ნოეს კიდობანი... ის აღთქმის კიდობანი და რაც მაში ინახებოდა დიდი ხანია დაიკარგა, უკანასკნელათ რომაელებმა რომ იერუსალიმის ტაძარი დაანგრიეს და დასწვეს. ეს კიდობანი წმიდათა-წმიდაში იდგა და მაშინ დაიღუპა. თქვენი ბედიც, ჩემო დანიელ, მაშინ იმ ქვებთან ერთად დაიმარხა.

— არა, რჯულის მადლმა, ღვთის მოცემული ათი მცნება როგორ დაიღუპებოდა...

— მცნება არ დაღუპულა, ქრისტიანობამაც მთლად მიიღო, მაგრამ ი ათი ფიცარი ქვისა, მოსემ რო სინაის მთიდან ჩამოიტანა, ის ქვები-კი, რაზედაც ეწერა აღარსადა სჩანს, მოისპო,—გავწიოთ, დანიელ, წავიდეთ და გზა და გზა გიამბობ... ჰო და ასეა საქმის ვითარება. ეხლანდელმა მეცნიერებამ, ჩემო ბატონო, ყველაფერს პირს ბადე ახადა. იძიეს, იკვლიეს და იცი რა აღმოჩნდა?.. ისა რო, წარღვნის ლეგენდა ანუ ზღაპარი ყველა ხალხში აღმოაჩინეს...

1872 წელს, ასურეთის კარგად მცოდნე მეცნიერი ჯორჯი სმიტი ქალ. ნინევიის ნანგრევებს სთხრიდა და სხვათა შორის აღმოაჩინა დიდებული წიგნთ-საცავი ასურბანიპალისა (მეფე იყო). აი აქ თიხის კრამიტებზე (სამი წყება) დაწერილია ქვეყნის წარღვნის ამბავიც. ეს ქალდაველთა მოთხრობა თითქმის ისევე აგვიწერს წარღვნის ამბავს, როგორათაც თქვენი ბიბლია.—წყალთა ღმერთმა ნუამ ეგრძანა ხაზიზადრას აეშენებინა კიდობანი სიგრძით 600 წყრთა და სხვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა ბატონო, ნოეს კიდობანი 300 წყრთა იყო.

— დამაცა დანიელ, ეგ სულ ერთია... ჰო და იმ კრამიტებზე ისიც-კი გამოანგარიშებულია, რამდენი ხნის სარჩო შეიტანეს კიდობანში და სხვა...

— ინდოელები ასევე მოგვითხრობენ, ხოლო ღმერთმა კი არა, თევზმა უბრძანა მანუას. სპარსელებს და ჩინელებსაც „ავისებური ნოე ჰყავთ. უწინდელ საბერძნეთშიაც რამდენიმე გარდმოცემა სუფევდა. დევკალიონი და პირი თესალიაში გადარჩენ წარღვნასაო, ხოლო ბოეთიაში ნოეს მაგივრად ოგიგეს ასახელებენ. საკვირველია რო ეგვიპტეში არაფერი სცოდნიათ-რა ქვეყნის წარღვნისა. ესენი ბევრსაც დასცინოდენ ბერძნებს—ბალღები ხართ, რაღაც ზღაპარი მოგიჭორებიათო. ამერიკაში, სახელდობრ მექსიკაში, იმ გვარივე გარდმოცემას ჰოულობენ, როგორც მოსეს ბიბლიაშია, მხოლოდ მექსიკელების ნოეს კოკს-კოკსი ჰქვიან. 1609 წ. ერთმა ჰოლანდიელმა, პეტრე იანსენმა ქალაქ გოორნეში ააშენა ხოძალდი სწორეთ იმ კიდობნის ზომისა და იმ მოყვანილობა-ფორმისა, როგორც დაბადებაშია აღწერილი. აღმოჩნდა, რომ მართლაც ამ გვარი მოყვანილობის გემი უფრო მეტს იტევს ხალხსაცა და საქონელსაც. ესეც გეყოფა, ხახამო, ხოლო რა სწერია დაბადებაში ეგ ხო უჩემოდაც კარგად იცი...

— რჯულის მადლმა, რო ვიცი. მე მინდოდა გამეგო მხოლოდ თქვენი მეცნიერების აზრი.

— აკი გითხარ და თუ გინდა იმასაც დავუმატებ, რომ მეცნიერების აზრით ეგ ლეგენდა, ამბავი მშვენიერია პოეზიისთვის და ზნეობრივი, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც უეჭველად აქვს, ისე როგორც მთლად დაბადებას, ბიბლიას, მაგრამ ნამდვილად, ცხოვრებაში ძნელი ასასრულებელი და შეუძლებელია...

— რატომ ბატონო?..

— ჰო და როცა მოცლით იყო დაჯექ, დანიელ, და სჩოტი ჩააგდე, იანგარიშე რამდენი თივა და ბზე, რამდენი აზრუმული ლავაში, რამდენი ხაბაზი და მზარეული, რამდენი მომვლელი კაცი დასჭირდებოდა მხეცებს... და ნურც იმას დაივიწყებ, რო ხორციჭამია მხეცებს თივა-ბზით ვერ დააჩუმებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე... ყველას თავი დავანებოთ, მარტო ერთ წყვილს ლომს და ვეფხს დღეში ორი ცხვარი მაინც მოუნდებოდა.

—

ხედავ დანიელ ჩვენი ქურთი ვილაცას ებაასება.

— ასე მოგახსენებენ, ხალხი შეკრებილა და სადილათ გიცდიანო... რათა ხანია თვალი აქეთ უჭირავთო.

— მართალია დანიელ, მაგ ბიჭს ბოზბაშ-ყაურმის სუნიც თან მოუტანია. წავიდეთ სირცხვილია. ნუღა ვაცდევინებთ.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთ „თემ“-ზე

ფასი გაზეთისა:

წლიურათ . . . . . 2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . . . . 2 მ.
სამი თვით . . . . . 1 მ.

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი . . . . 15 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . 10 კ.
ტექსტის შუაგულს . . . . . 20 კ.

სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მ.

რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая, № 6,
д. Д. З. Сараджева, Ред. газ. „თემი“.

Продолжается подписка на 1912 г.

Политическая общественная и литературная ежедневная газета

годъ (VII) „Закавказье“ **годъ (VII)**

Подписная цѣна:

Для городскихъ подписчиковъ:		Для иногородныхъ подписчиковъ:	
На одинъ годъ	6 р.	На одинъ годъ	8 р.
На полгода	3 р. 50 к.	На полгода	4 р. 50 к.
На три мѣсяца	2 р. 25 к.	На три мѣсяца	2 р. 75 к.
На одинъ мѣсяцъ	75 к.	На одинъ мѣсяца	1 р.

За-границу вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородный—1 р., съ иногороднаго на иногородный—50 к.

Отдѣльный номеръ 5 коп.

Редакція открыта отъ 10 до 3 час. Редакторъ принимаетъ для личныхъ переговоровъ отъ 2 до 3 час. дня

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მესამე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განეოფილება, ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ. ქალაქ გარეთ მკითხველებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.
ბაქოში—ქალ. მართა კვიტაშვილს.
მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.
გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს.
სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილს.
თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
სილნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.
ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1912 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ **кн. Г. М. Палавандовъ.**

Издатель **Д. З. Горделадзе.**